# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 14 ნოემბერი 2006 №264 (2886) ფასი 50 თეთრი



# ასე გიხდებათ ასა!





ბაჩო კვირიკაშვილის ფოტოები

ურუგვაი — ნაკრები, რომელიც დღეს ვერ გრანდობს, მაგრამ საქართველოსთან ხვალინდელი ამხანაგური მატჩისთვის გრანდის იარლიყი აქვს.

ხვალ მართლაც საინტერესო თამაშია, კლაუს ტოპმიოლერი რამდენიმე ახალ ფეხბურთელს გამოცდის. ეს კი მართლაც საშური საქმეა — მიჯრით სამი ევროშესარჩევი მარცხის შემდეგ ტოპი შოტლანდიაში სამი ქულის ასაღებად მიდის. ეს გაისად, მარტში. მანამდე კი...

ნაკრები გუშინ საღამოს ექვსის ნახევარზე გამოჩნდა „ეროვნულზე". ვარჯიშამდე საქართველოს ნაკრების ფან-კლუბის წევრებს მწვრთნელ-მოთამაშეებთან ავტოგრაფების და სამახსოვრო ფოტოების გადაღების საშუალება ჰქონდათ. ასეც მოხდა, შეზღუდვა არ ყოფილა, განსაკუთრებით კი ჰერ კლაუსი, ლევან კობიაშვილი, ლევან ცქიტიშვილი და გოგიტა გოგუა „დაიტანჯნენ"...

ვარჯიშმა საათზე ოდნავ მეტხანს გასტანა. ლადო ბურდული, ჯაბა კანკავა, ნუკრი რევიშვილი, ლაშა სალუქვაძე, მიხეილ აშვეთია, გიორგი ლომაია, ოთარ ხიზანეიშვილი, დავით კვირკველია, გიორგი დემეტრაძე — ეს ფეხბურთელები მოგვიანებით უნდა შეერთებოდნენ კრებულს.

ჩვეულებრივი ვარჯიში იყო თავისი კვადრატებით, კარში დარტყმებით, ორკარათი... ორკარა მაინც განსაკუთრებით საინტერესო იყო — ერთ მხარეს ლეგიონერები, მეორე მხარეს ადგილობრივები. „უცხოელებმა" პირწმინდად მოუგეს „ჩვენებს"...

ვარჯიშის შემდეგ *კლაუს ტოპმიოლერმა* კიდევ ერთხელ აღნიშნა, მოსამზადებლად ორი დღე ძალიან ცოტაა, მაგრამ პოზიტიური ისაა, რომ ზოგიერთ ფეხბურთელს პირველად ვნახავ საქმეში...

— ახალბედა ფეხბურთელებისთვის ურუგვაისთან თამაში გამოცდა იქნება, ასე რომ, მათ გარჯა არ დაეკარგებათ და თუ თავს კარგად წარმოაჩენენ, ნაკრებში მოხვედრის შანსი ექნებათ.

**— დანარჩენი ფეხბურთელები როდის ჩამოვლენ?**

— ამაღამ. საერთოდ, კლუბები ძნელად უშვებენ ფეხბურთელებს და ამის გამო პრობლემა იქმნება. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი სხვაგვარად არ გამოდიოდა.

**— ოთარ ხიზანეიშვილი რატომ არ იყო ვარჯიშზე?**

— „ფრაიბურგს" ვთხოვეთ, ხიზანეიშვილი წინა ტურში დაესვენებინათ — ის ოთხშაბათს ურუგვაისთან აუცილებლად ითამაშებს.

ილია ნანობაშვილი

# საქართველო VS ურუგვაის საქართველო VS რუსეთი ნახავს



# ივო შუშაკი თბილისშია ანუ:

საქართველოს ნაკრების თამაშების მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT



კახა კალაძის არყოფნაში საქართველოს ნაკრებს ლევან კობიაშვილი უკაპიტნებს — ეს უკვე ტრადიციად იქცა. გერმანული „შალკეს“ ქართველი ნახევარმცველი ჩვენი ნაკრების ერთ-ერთი ლიდერია და ეს გასაკვირიც არ უნდა იყოს. ბუნდესლიგის ბოლო ტურებში კობიმ შესანიშნავი სერია ჩაატარა, ამას ოლივერ კანის კარში გატანილი ულამაზესი გოლიც დაურთო და მისი დამსახურებაცაა, „შალკე“ ბუნდესლიგის ჩემპიონობის ერთ-ერთი კანდიდატი რომ არის...

# ილაპარაკე, რამდენიც გინდა

— ბოლო სანაკრებო შეხვედრები ძალიან ძლიერ გუნდებთან გქონდათ...

— მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისტებზე რომ არაფერი ვთქვათ, პარაგვაის, უკრაინისა და გერმანიის ნაკრებებს ვეთამაშეთ. ჩემი აზრით, გუნდს ურიგო შთაბეჭდილება არ დაუტოვებია. ერთადერთი სუსტი შეხვედრა ალბათ საფრანგეთთან ჩავატარეთ...

— ნაკრებს თითქმის ყველა შეხვედრაში რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი აკლია. ახლა კი გუნდში ერთბაშად რამდენიმე ახალწვეულია...

— ეს გარდაუვალი პროცესია, თუმცა უმჯობესია, ეს ეტაპობრივად მოხდეს. ჩვენს შემთხვევაში კი სხვაგვარად იყო — თითქმის მთელი გუნდის გადახალისება მოგვიხდა. საერთოდ, უკეთესია, როდესაც თაობათა შერწყმა ხდება. ურუგვაისთანაც რამდენიმე ისეთი ფეხბურთელია გამოძახებული, რომლებსაც სანაკრებო დონეზე არ უთამაშიათ და მათ მაგალითი ჩვენ უნდა მივცეთ.

— ურუგვაის ნაკრებზე რას იტყვი?

— ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერმოხვედრა მტკივნეულად განიცადეს და ახლა სერიოზული გუნდის ჩამოყალიბებას აპირებენ, ამის პოტენციალი კი ნამდვილად აქვთ.

— დარიო როდრიგესი და გუსტავო ვარელა შენი თანაგუნდელები არიან. წამოსვლისას რაზე საუბრობდით?

— ერთად ჩამოვედით და გზაში ჩვეულებრივ, როგორც თანაგუნდელები, ისე ვლაპარაკობდით. შეხვედრის შემდეგაც ერთად წავალთ და მინდა, მე უფრო ბევრი სათქმელი მქონდეს, ვიდრე მათ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ცქიტიშვილი არსად მიდის

*ლევან ცქიტიშვილმა იტალიასთან მატჩში ნაკრებს ულიდერა, ნახევარდაცვის თამაში წაიყვანა და მით უფრო გასაკვირია, ნორმალურ ფორმაში მყოფი „ცქიტო“ რატომ ვერ ხვდება ბერძნული „პანიონიოსის“ ძირითადში...*



— ურუგვაისთან თამაშზე რას იტყვი?

— ამ ნაკრებს ჩემი შექება არ სჭირდება. განა ეჭვის შეტანა შეიძლება, რომ ძლიერ გუნდს ვხვდებით?! კარგი ფეხბურთელები ჰყავთ, ზოგიერთი მათგანი კი ევროპის სახელიან კლუბში თამაშობს.

— იტალიასთან აშკარად გუნდის ლიდერი იყავი. შეძლებ ურუგვაისთანაც იგივეს გაკეთებას?

— რაც ჩემზეა დამოკიდებული, ვეცდები, ყველაფერი გავაკეთო. რა დავალებასაც მწვრთნელი მომცემს, აუცილებლად უნდა შევასრულო.

— „პანიონიოსში“ რომ მხოლოდ შეცვლებზე თამაშობ, რისი ბრალია?

— მიზეზი ბანალურია — მწვრთნელი ასე თვლის საჭიროდ.

— მასთან ამის თაობაზე არ გისაუბრია? და თუ დიდხანს გაგრძელდა ასე, კლუბის გამოცვლაზე არ იფიქრებ?

— „პანიონიოსიდან“ წასვლაზე ჯერ ლაპარაკიც არ არის. ევალდ ლინენთან კი რა ვისაუბრო, ასე თვლის, რომ ძირითად შემადგენლობაში სხვებმა უნდა ითამაშონ.

**ილია ნანოგაშვილი**



# სირაძე შანსით ჩამოვიდა

*გერმანიის მეორე ბუნდესლიგის ერცგებირგეს აუე-ს თავდამსხმელმა დავით სირაძემ საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის კლაუს ტოპმიოლერის ყურადღება ამ ბოლო ხანს მიიპყრო. ეს ამბავი გასაკვირი არც იყო, ბოლო შეხვედრებში სირაძე აუე-ს ლიდერად იქცა — ქართველი თავდამსხმელი გოლის ალღოთიც გამოირჩევა და არც საგოლე გადაცემებს აკლებს თანაგუნდელებს.*

*ერთი სიტყვით, ორწლიანი პაუზის შემდეგ სირაძე ისევ გამოჩნდა ეროვნულ გუნდში...*

— მიხარია, რომ ნაკრებში დამიძახეს. ბოლოს ისრაელის ნაკრებთან ვითამაშე, შეცვლაზე შევედი. მერე კი ხანგრძლივი პაუზა იყო. ყველანაირად ვეცდები, დავამტკიცო, რომ ნაკრებში თამაშის ღირსი ვარ. მინდა, ეს შანსი გამოვიყენო.

— კლაუს ტოპმიოლერის ხელმძღვანელობით პირველად ივარჯიშე და რა შთაბეჭდილება დაგრჩა?

— ერთი ვარჯიშით ძნელია ყველაფრის თქმა. თქვენც ნახეთ, ბურთთან დიდხანს არ ვყოფილვართ, თანაც სრული შემადგენლობა ჯერ კიდევ არ შეკრებილა. ხვალ ორჯერადი ვარჯიში გვაქვს, ყველა ერთად ვიქნებით და უფრო გაგვიადვილდება საერთო ენის გამონახვა. ვფიქრობ, ურუგვაისთან მატჩს სრულ მზადყოფნაში შევხვდებით.

— როგორ ფიქრობ, ურუგვაისთან შეხვედრას ძირითად შემადგენლობაში დაიწყებ?

— ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია. როგორც ვთქვი, ჯერ სრული შემადგენლობა არ შეკრებილა და ყველაფერს ხვალინდელი დღე გვიჩვენებს. ალბათ ვინც უკეთეს ფორმაში იქნება, სასტარტო შემადგენლობაშიც ის ითამაშებს.

— გერმანული კლუბებიდან გერმანული მწვრთნელის ხელში — ვარჯიშების მხრივ რა განსხვავება დაინახე?

— აქაც აბსოლუტურად გერმანული ვარჯიშებია. პირველი ვარჯიშიდან გამომდინარე, ერთს ვიტყვი, რომ ტოპმიოლერს განსხვავებული და განსაკუთრებული სტილი აქვს. ეს ნაკრების ბოლო შეხვედრებსაც აშკარად ეტყობოდა.

— ნაკრებში რამდენიმე სერიოზული ცვლილებაა. როგორ ფიქრობ, წამყვანი ფეხბურთელების არყოფნაში რა შეიძლება, აჩვენოს საქართველოს ნაკრებმა?

— რა თქმა უნდა, ლიდერების არყოფნა ყველა გუნდზე უარყოფითად მოქმედებს, მით უფრო, ჩვენზე. თუმცა ტოპმიოლერი შეძლებისდაგვარად ახერხებს ლიდერების სხვა ფეხბურთელებით შეცვლას და, როგორც ვნახეთ, ეს არცთუ ურიგოდ გამოსდის.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# კანკავა სურათს ელის



კლაუს ტოპმიოლერის უიღბლობაზე ადრეც ბევრი გვითქვამს, მაგრამ ყოველი თამაშის წინ ეს უფრო და უფრო მეტ გაოცებას იწვევს — ურუგვაისთან არაოპტიმალურ შემადგენლობას, სავარაუდოდ, კიევის „არსენალს“ ლიდერი ჯაბა კანკავაც დააკლდება.

კანკავამ უკრაინის ჩემპიონატის ბოლო ტურში „ილიჩევეცის“ წინააღმდეგ შორეული დარტყმით ანგარიში გახსნა, 78-ე წუთზე კი შეცვალეს. გვეგონა, ეს ყველაფერი არსენალელთა მწვრთნელ ალექსანდრ ზავაროვის ტაქტიკური ჩანაფიქრი იყო, მაგრამ თამაშის შემდეგ ზავაროვმა კანკავას ტრავმაზე ისაუბრა და თქვა, ჯაბას უკრაინის ჩემპიონატის მორიგი შეხვედრის გამოტოვება მოუწევსო.

კანკავას უკრაინაში გუშინ რომ შევეხმიანეთ, თბილისში ჩამოსასვლელად აეროპორტში მიიჩქაროდა...

— „ილიჩევეცთან“ მატჩის დასრულებამდე ცოტა დრო რჩებოდა, როცა მეტოქესთან შეჯახებისას მუხლი დავიზიანე და შეხვედრის გაგრძელება ველარ შევძელი.

— რამდენად სერიოზულია ტრავმა?

— ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით. ახლა თბილისში მოვფრინავ, მუხლზე სურათს გადავიღებ და ექიმების დასკვნას დაველოდები.

— ურუგვაისთან თამაშს ვერ შეძლებ?

— ტკივილები მაწუხებს, თუმცა რამდენად სერიოზულია ტრავმა, ჯერ არ ვიცი...

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

### საფრანგეთი
II დივიზიონი. XVI ტური
ლე ავრი 1:1 მეცი

### ირლანდია
პრემიერლიგა
გადადებული მატჩი
უოტერფორდი 0:1 დერი

### ჩეხეთი
გამბრინუს ლიგა
XIV ტური
ბოლესლავი 2:1 მოსტი

### შოტლანდია
პრემიერლიგა. XIV ტური
ფოლკირკი 1:1 ჰართსი

### ინგლისი
ასოციაციის თასი
I ეტაპი
ჰავანტი 1:2 მილუოლი
მაკლსფილდი 0:0 უოლსოლი

### იტალია
სერია B. XI ტური
ბარი 0:1 ნაპოლი
სერია C1/B
XI ტური
სამბენედეტეზე 0:1 ტერნანა

### გერმანია
II ბუნდესლიგა
XII ტური
ფიურტი 2:2 კაიზერსლაუტერნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კაცი, რომელსაც უყვარს საქართველო



# კაცი, რომელიც უყვარს საქართველოს

**გუშინ** თბილისში საქართველოს ნაკრებისა და თბილისის „დინამოს“ ყოფილი მწვრთნელი ივო შუშაკი ჩამოვიდა.

კაცი, რომელმაც საქართველოს დაუვიწყარი სიხარული აჩუქა — ივო შუშაკის ნაკრებმა რუსეთი დაამარცხა.

კაცი, რომლის „დინამომაც“ დამოუკიდებლობის შემდეგ პირველი საერთაშორისო ტურნირი მოიგო — ესენგეს თასი მოსკოვში.

კაცი, რომელსაც ძალიან, ძალიან უყვარს საქართველო და აქ ბევრი მეგობარიც ჰყავს, „დინამოდან“ და ნაკრებიდან წასვლის შემდეგ თბილისში სწორედაც რომ მეგობრული ვიზიტით უკვე მეორედ ჩამოვიდა, თან ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემა „სექტორმაც“ მოიწვია.

გუშინ ივო შუშაკი „სექტორის“ სტუმარი გახლდათ, ხვალ კი, თუ ქვეყანა არ დაიქცა, მის ინტერვიუს „სარბიელში“ წაიკითხავთ.

ივო შუშაკმა თბილისში ჩამოსვლა საქართველოს ნაკრების მატჩსაც დაამთხვია, ხვალ ხომ საქართველო — ურუგვაია. ის ამ შეხვედრას დაესწრება და, რა თქმა უნდა, ჩვენს ეროვნულ გუნდზე მისი აზრი საინტერესო უნდა იყოს.

მოკლედ, ხორვატი ივო შუშაკი ისევ თბილისშია და ვერ ვიხსენებთ სხვა უცხოელს, ვისაც ჩვენში მწვრთნელად უმუშავია, შემდეგ კი აქ დაბრუნებულა. მას საქართველო უყვარს და ჩვენგანაც დიდად პატივსაცემი კაცია. ის ამჟამად ხორვატიული „ოსიეკის“ თავკაცია...

**კობა ინასარიძე**

**მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ურუგვაის ნაკრები თბილისშია და საქართველოსთან ხვალინდელი ამხანაგური მატჩისთვის ემზადება. სტუმრები ნაწილ-ნაწილ ჩამოვიდნენ, გუშინდელ ვარჯიშზე კი სულაც თორმეტნი იყვნენ, მათ შორის ორი მეკარე. სხვა ურუგვაელი ფეხბურთელები, მაგალითად, ესპანური „ვილიარეალის“ თავდამსხმელი დიეგო ფორლანი, ფრანგული „მონაკოს“ შემტევი გონსალო ვარგასი, ესპანური „სელტას“ მცველი პაბლო გარსია და კიდევ რამდენიმე მოთამაშე გუნდს წუხელ შეუერთდებოდნენ. ურუგვაელთა სათბილისო დელეგაცია სულ 30-კაციანია და „ქორთიარდ მარიოტშია“ დაბინავებული**



# 4-3-3 x 4-3-3

## ტოპმიოლერი და ტაბარესი ერთ თარგზე ჭრიან



მწვრთნელმა ოსკარ ტაბარესმა კი ის თორმეტი ფეხბურთელი „მიხეილ მესხზე“ ორი საათი ავარჯიშა და პირველივე ტაქტიკური ვარიანტის დამუშავებისას ჩავინიშნეთ, რომ მწვრთნელმა შეგირდები ზუსტად იგივე სქემაზე გააწყო, როგორც კლაუს ტოპმიოლერი ათამაშებს საქართველოს ნაკრებს, ანუ ეს სავარჯიშო განლაგებაც 4-3-3 იყო. მოგვიანებით ამის თაობაზე თავად *ოსკარ ტაბარესს* ვკითხეთ და ასეთი პასუხი მივიღეთ:

„ჩემი ხელმძღვანელობით ურუგვაის ნაკრები ყოველთვის 4-3-3 განლაგებით თამაშობს. საქართველოსთანაც ასე იქნება“.

დაგვეთანხმებით, ტოპმიოლერისა და ტაბარესის ერთნაირი სქემით მოთამაშე გუნდების დაპირისპირება ამითაც ერთობ საინტერესო უნდა გამოვიდეს, მით უმეტეს, როცა საქართველოც და ურუგვაიც დაახლოებით მსგავსი მანერით თამაშობენ.

მეკარეები ფაბიან კარინი და ხუან გილერმო კასტილია, მცველები დარიო როდრიგესი, ხორხე ფუსილე, დიეგო გოდინი, დიეგო ლუგანო, ნახევარმცველები მასიმილიანო პერეირა, გუსტავო ვარელა, ვალტერ გარხანო, გილერმო ჯაკომაცი, კარლოს დიოგო და თავდამსხმელი გონსალო კასტრო — აი, ეს ფეხბურთელები იყვნენ გუშინ ოსკარ ტაბარესის ხელქვეით და, როგორც სამხრეთელებს სჩვევიათ, ვარჯიშიც მხიარული გამოვიდა.

ურუგვაის ნაკრებში ქართველი ფეხბურთელების სამი თანაგუნდელია — ყაზანის „რუბინში“ ჩვენებთან ანდრეს სკოტი თამაშობს, ხოლო „შალკეში“ ლევან კობიაშვილი, გუსტავო ვარელა და დარიო როდრიგესი არიან ერთად. ჩვენც ურუგვაელთა ვარჯიშის შემდეგ ოსკარ ტაბარესის გარდა *დარიო როდრიგესსაც* გამოველაპარაკეთ...

— საქართველოს ნაკრებზე ბევრი არაფერი ვიცი, თუმცა რასაც ლევან კობიაშვილს ვუყურებ, საქართველოს თუ მეტ-ნაკლებად ყველა მისი დონის ფეხბურთელი ჰყავს, მაშინ ძალიან ძლიერი მეტოქე გვყოლია. კობი „შალკეში“ და მთლიანად გერმანიაშიც ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელია, მის გვერდით თამაში ყველასთვის სასიამოვნოა. არის ხოლმე მატჩები, როცა ის ორი-სამი ფეხბურთელის საქმეს აკეთებს.

— რამდენიმე სეზონია, ბუნდესლიგაში ვთამაშობ და ვიცი, როგორი სპეციალისტია ტოპმიოლერი. ძალიან ავტორიტეტული მწვრთნელია და მისი გუნდიც, დარწმუნებული ვარ, კარგ ფეხბურთს ითამაშებს. საქართველოსთან საინტერესო მატჩს ველი, თანაც ჩვენც თითქმის უძლიერესი შემადგენლობით ჩამოვედით.

ოსკარ ტაბარესმა კი ვარჯიშის შემდეგ რამდენიმე ფეხბურთელს ცალკე დავალება მისცა, ისინი თავის თანაშემწეს ჩააბარა, შემდეგ კი ორიოდ წუთი ჟურნალისტებსაც დაგვითმო...

— ურუგვაის ნაკრების სათბილისო შემადგენლობის თითქმის ყველა ფეხბურთელი ევროპულ გუნდებში თამაშობს. თავიდან უძლიერესი შემადგენლობა მყავდა გამოძახებული, მაგრამ მოგვიანებით რამდენიმე ფეხბურთელი დაშავდა და იძულებული გავხდით, ხუთი მოთამაშე ადგილობრივი კლუბებიდან დაგვემატებინა. დიეგო ფორლანი საღამოს შემოგვიერთდება, სხვა ექვსი ფეხბურთელი კი ღამით ჩამოვა. ბიჭები საკმაოდ ნორმალურად არიან მომზადებულნი და მათგან კარგ თამაშს ველი.

— მიმაჩნია, რომ საკმაოდ საინტერესო მეტოქე გვყავს. თბილისში წამოსვლამდე საქართველო — იტალიისა და გერმანია — საქართველოს მატჩების ფირები ვნახე. საქართველომ ჩემზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ვფიქრობ, იტალიასთან თამაში წასაგები არ იყო. მაგრამ თქვენს გუნდს, მგონი, გამოცდილება დააკლდა და მსოფლიოს ჩემპიონებთან ბოლომდე ველარ გაძლო.

— ჩვენ ახლა „კოპა ამერიკასთვის“ ვემზადებით, თუმცა უფრო შორსაც ვიყურებით — 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე უნდა ვითამაშოთ და გუნდს ვაკეთებთ. ნაკრებში რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელს რეგულარულად ვიწვევთ. გვჯერა, რომ ოთხ წელიწადში ისინი მნიშვნელოვნად გააძლიერებენ ნაკრებს.

და ერთიც: დღეს ურუგვაის ნაკრები უკვე სრული შემადგენლობით ეროვნულ სტადიონზე ივარჯიშებს.

**კობა ინასარიძე**



ხუან გილერმო კასტილიამ და მისმა თანაგუნდელებმა „მიხეილ მესხზე“ ხალისიანად ივარჯიშეს



დარიო როდრიგესმა (მარჯვნივ) ლევან კობიაშვილი გვიქო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მძაფრი სიუჟეტი რუსულ ეკრანებზე

# ჭელიძე პორტუგალიის ნაკრების კაპიტანია



უპრეცედენტო ამბავი: ორი დღეა, მოსკოვის კინოთეატრებში ახალი რუსული მძაფრსიუჟეტიანი დეტექტივი „უკუათვლა" გამოვიდა, რომელშიც მოქმედი ქართველი ფეხბურთელი თამაშობს — მოსკოვის „ლოკომოტივისა" და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების 20 წლის თავდამსხმელი გიორგი ჭელიძე. ფილმში, რომელზეც საკმაო თანხა დაიხარჯა, ცნობილ რუს მსახიობებთან, ლეონიდ იარმოლნიკთან, ოქსანა აკინშინასთან და ანდრეი მერზლიკინთან ერთად როლი „პაჭელოსაც" ერგო.
სიუჟეტი ასეთია: 48 საათში მოსკოვში დიდი აფეთქება უნდა მოხდეს — ეს არის ბოლო ინფორმაცია, რისი გადაცემაც მოასწრო მომაკვდავმა აგენტმა...
მოკლედ, ამ ფილმმა დიდ რუსეთში დიდი ინტერესი გამოიწვია და ჩვენც გუშინ გიორგი ჭელიძეს შევეხმიანეთ...




— უკვე ორი წელია, ამ ფილმზე მუშაობდნენ და იმედი აღარც მქონდა, საერთოდ თუ გამოვიდოდა რამე. ახლა კი მეც გაოცებული ვარ. მოსკოვში რეკლამები გამოჩნდა და რომ შევხედე, კინაღამ სიცილისგან გავიგუდე — ამ ფილმში ხომ მეც ვთამაშობ და საკუთარი თავის კინოთეატრებში ნახვას რას წარმოვიდგენდი...

— **როდის გადაგიღეს?**

— „ლოკომოტივში" ახალი ჩამოსული ვიყავი. მაშინ ჯერ კიდევ დუბლებში ვთამაშობდი. ამიტომაც ვთქვი, მას შემდეგ საკმაო ხანი გავიდა და არ მეგონა, ეს ფილმი საერთოდ თუ გამოვიდოდა-მეთქი.

— **შენ გარდა სხვა ცნობილი ფეხბურთელებიც ხომ არ თამაშობენ ამ ფილმში?**

— არა. მაშინ „ლოკომოტივის" მთავარი გუნდი უცხოურ შეკრებაზე იყო და იქიდან არავინ მიუწვევიათ.

— **და რატომ მაინცდამაინც შენ?**

— რა ვიცი, ვერ გეტყვი... კლუბის ხელმძღვანელობამ დამირეკა, ფილმში უნდა გადაგიღონო, მეც მივედი, რამდენიმე დუბლი გადამიღეს და მორჩა.

— **რეჟისორი ძალიან გააწვალე? რამდენი დუბლი დაგჭირდა?**

— ძლივს მაჩერებდნენ, იმდენს ვიცინოდი. ჩემ თავს ფილმში რომ წარმოვიდგენდი, უცებ, შუა გადაღებისას ამიტყდებოდა სიცილი და რეჟისორი გიჟს ჰგავდა...

— **საბოლოოდ, ფილმში რამდენწუთიანი როლი გაქვს?**

— ხუთი-ექვსი წუთი ვჩანვარ ეკრანზე.

— **საინტერესოა, მაინც რა როლი გაქვს?**

— ფილმის მთავარი სიუჟეტი ჩვენს სტადიონზე, ჩერკიზოვოში ვითარდება. ამბავი ასეთია: ერთმანეთს ეთამაშებიან რუსეთის და პორტუგალიის ნაკრებები. მე ვარ პორტუგალიის ნაკრების კაპიტანი. ამ თამაშისას სტადიონი უნდა ააფეთქონ, თუმცა ამის შესახებ მხოლოდ სადაზვერვო სამსახურებმა იციან. მე კი ამ დროს გუნდი მოედანზე გამომყავს, გადაჭედილ ტრიბუნებს ვესალმებით, მსაჯებს და რუსების კაპიტანს ვესაუბრები ბურთის და კარის არჩევაზე...

— **მოგეწონა მსახიობობა?**

— არა, ეს ჩემი საქმე არ არის.

— **კიდევ რომ შემოგთავაზონ ფილმში მონაწილეობა, არ დათანხმდები?**

— არა მგონია, დავთანხმდე. კიდევ რომელ რეჟისორს უნდა, რომ გავაგიჟო?!

— **ამასობაში, ნახევარწლიანი პაუზის შემდეგ გუშინ პირველად ითამაშე „ლოკომოტივის" მთავარ გუნდში და ამაზეც გვითხარი რამე...**

— მოსკოვის „ტორპედოსთან" ამხანაგურ მატჩში 0:1 წავაგეთ. ძირითადში ვიყავი და საბედნიეროდ, არაფერს შევუწუხებივარ. ორჯერ გოლის გატანაც შემეძლო, მაგრამ...

— **58-ე წუთზე რატომ გამოგცვალეს? ფიზიკურად კიდევ სუსტად ხარ?**

— არა, ფიზიკურად არ გამჭირვებია. უბრალოდ, მეორე ტაიმში მწვრთნელმა სარეზერვო გუნდის მოთამაშეებს მისცა შანსი და თითქმის მთელი გუნდი შეცვალა.

— **კმაყოფილი ხარ?**

— პირველი ტაიმი მართლა კარგად ვითამაშე. გოლი რომ გამეტანა, მთლად უკეთესი იქნებოდა, მაგრამ გვერდითმა მსაჯმა რატომღაც დამაჯარიმა — ხელით ითამაშეო. არადა, პირისპირ ვიყავი მეკარესთან...

— **ჩანს, ტრავმის კვალი აღარ გეტყობა...**

— ეგრეა. ტრავმა წარსულს ჩაბარდა და ახლა რაც შეიძლება, მალე უნდა აღვიდგინო ფორმა.

**ქახა შალამბერიძე**

## გოგი ქავთარაძე:

# გვაცადეთ, ბატონო



გურამ [illegible] ფოტო

გაისად, 12 სექტემბრისთვის თბილისში არგენტინის ნაკრების ჩამოსვლაზე სიახლე ჯერჯერობით არაფერია — ეს საკითხი კვლავაც მოლაპარაკების სტადიაშია. გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა გოგი ქავთარაძემ გვითხრა, ამჟამად მხოლოდ ურუგვაისთან მატჩზე ვფიქრობთ და ვმუშაობთო...

— მოლაპარაკებები მხოლოდ ჩვენსა და არგენტინის ფედერაციას შორის არ მიმდინარეობს. ამ საკითხზე კომპანია „ინფრონტიც" მუშაობს. იმას კი გეტყვით, რომ არგენტინის ჩამოსვლაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა.

— **სავარაუდოდ, როდის შეიძლება გავიგოთ, მოხერხდება თუ არა შეთანხმება...**

— 15 ნოემბრამდე ნამდვილად გამორიცხულია. ახლა მთლიანად ურუგვაის ნაკრების მასპინძლობაზე ვართ გადართულნი. თანაც, მოლაპარაკება არცთუ დიდი ხნის წინ დაიწყო და ასე მალე ძნელია საქმის მოგვარება — მით უმეტეს, როცა არგენტინის დონის ნაკრების ჩამოყვანაზეა ლაპარაკი.

— **არც ბრაზილიის ნაკრების ჩამოსვლაზეა სიახლე?**

— ჯერჯერობით არა.

**ილია ნანოგაშვილი**

## საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური განცხადება

15 ნოემბერს საქართველოსა და ურუგვაის ეროვნული გუნდების ამხანაგურ შეხვედრაზე დასასწრებ ბილეთებთან დაკავშირებით

ძვირფასო გულშემატკივრებო!

მატჩი გაიმართება 15 ნოემბერს 21 საათზე.

მატჩზე დასასწრები ბილეთების გაყიდვა დაიწყება 2006 წლის 11 ნოემბერს,11 საათზე რიყეზე და დამთავრდება 15 ნოემბერს 17 საათზე.

სალაროები იმუშავებს 11-დან 17 საათამდე.

მატჩზე დასასწრები ბილეთები გაიყიდება მხოლოდ რიყეზე.

ბილეთების ფასებია: 7,15, 40 ლარი.

აბონემენტის მფლობელთათვის მატჩზე დასწრება უფასო არ არის და მათთვის გამოყოფილი იქნება ცალკე სალარო.

სალაროებზე მითითებული იქნება, სად რომელი სექტორის ბილეთი იყიდება.

თითოეულ გულშემატკივარს შეეძლება მაქსიმუმ 10 ბილეთის შეძენა.

მატჩზე უბილეთოდ ბავშვები არ დაიშვებიან.

მანქანები მხოლოდ საგანგებო საშვებით დაიშვებიან სტადიონის ტერიტორიაზე.

მატჩის დღეს, 15 ნოემბერს, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის ყველა ჭიშკარი და შიდა კარი გაიხსნება მატჩის დაწყებამდე სამი საათით ადრე, 18 საათზე.

# იარეთ ნაკრებთან ერთად

**გუშინ** „მიხეილ მესხის" სტადიონზე ტურისტული სააგენტოს GFF TRAVEL-ის პრეზენტაცია მოეწყო, რომელსაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის და ნაკრებთა თავკაცების გარდა გულშემატკივრებიც დაესწრნენ.

ნოდარ ახალკაცმა, გოგი ქავთარაძემ, რევაზ არველაძემ, უჩა უგულავამ, დიმიტრი რამიშვილმა, გრიგოლ ცაავამ, კლაუს ტოპმიოლერმა, რალფ მინგემ, ჰაინც ტოპმიოლერმა და ჰერბერტ ცანკერმა ქომაგებს ის სააგენტო წარუდგინეს, რომელიც საქართველოს ეროვნული ნაკრების საგარეო მატჩებზე გულშემატკივრების გამგზავრებას უზრუნველყოფს.

„ეს კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია ქართული ფეხბურთის განვითარების საქმეში. დამეთანხმებით, არაფერია იმაზე კარგი, როცა გულშემატკივარი საყვარელი ფეხბურთელების თამაშს სხვა ქვეყანაში ადევნებს თვალს" — განაცხადა კლაუს ტოპმიოლერმა.

**ქახა შალამბერიძე**



ამერელ თენგიზ ჩიქვილაძეს
და იანა ნეზაბიტოვსკაიას
ვულოცავთ ქალიშვილის
სალომეს
დაბადებას.
სასახელო ქალი გაზრდილიყოს!
*ამერელები*



# ქართველების კაუნ-თასი

„კაუნასმა“ ლიტვის ჩემპიონატის ბოლო ტურში 4:0 მიანგრია „ეკრანასი“ და ტიტულიც ჩაიბარა. გივი კვარაცხელიას და ნუკრი მანჩხავას გუნდმა ჯერ კიდევ ორი კვირის წინ გაინაღდა ჩემპიონობა, თუმცა თასი სწორედ ახლა, ბოლო ტურში გადასცეს.

შეგახსენებთ, რომ „კაუნასის“ მეპატრონე ცნობილი ოლიგარქი ვლადიმირ რომანოვია, ვინც ასევე შოტლანდიურ „ჰართსს“ და ბელარუსულ „მტზ-რიპოს“ ფლობს.

კვარაცხელია და მანჩხავა მიმდინარე ევროსეზონში პირველი ქართველი ჩემპიონები არიან.

**ბაჩა შალამბერიძე**

# კიეველ ქართველებსაც გერმანელს უნიშნავენ

**დიდი შანსია,** ცნობილი გერმანელი სპეციალისტი ოტმარ ჰიცფელდი ოთარ მარცვალაძის და დავით იმედაშვილის მწვრთნელი გახდეს. უცხოური სააგენტოების ცნობით, ჰიცფელდი თანახმაა, კიევის „დინამო“ გაწვრთნას და ამის თაობაზე კლუბის პრეზიდენტ იგორ სურკისთან პრინციპულ შეთანხმებას უკვე მიაღწია.



პრობლემა ის არის, რომ სურკისს სურს, სახელოვანი გერმანელი ამ ზამთარშივე შეუდგეს საქმეს, ჰერ ოტმარი კი ზაფხულზეა თანახმა, რადგან გერმანულ ტელევიზიასთან კონტრაქტი სწორედ გაის ზაფხულში უმთავრდება.

აქვე ვთქვათ, რომ კიეველთა ახლანდელმა მწვრთნელმა ანატოლი დემიანენკომ დავით იმედაშვილი თავიდანვე სარეზერვო გუნდში გაუშვა, ოთარ მარცვალაძეს კი, ვინც ახლა ტრავმირებულია, იშვიათად ათამაშებდა და ისიც შეცვლებზე.

**ბაჩა შალამბერიძე**

### 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი
### ჩვენი მეტოქე

# იტალია ახალია
## დონადონის ჩემპიონები ხელიდან გამოეცალნენ

**ეროვნულმა** ნაკრებებმა უეფას ფანჯრით ისარგებლეს და 15 ნოემბრისთვის ამხანაგური მატჩები დაგეგმეს. ერთ-ერთი იტალია — თურქეთია, რომელიც ნეიტრალურ მოედანზე გაიმართება.

ევრო 2008-ის შესარჩევში ჩვენი მეტოქის თავკაცმა რობერტო დონადონიმ მუნდიალის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონების შემადგენლობა მნიშვნელოვნად გადაახალისა და ექსპერიმენტებზე უარი სათურქეთოდაც არ უთქვამს. „სკუადრა ატურას“ შემადგენლობაში არ არიან ალესანდრო ნესტა, ანდრეა პირლო, ჯენარო გატუზო, ფაბიო გროსო, ფილიპო ინძაგი, ლუკა ტონი, ალესანდრო დელ პიერო... სამაგიეროდ, დონადონის გუნდში ორი დებიუტანტია — რომაელი ალბერტო აკვილანი და მილანელი კრისტიან ბროკი.

***მეკარეები:*** *ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი), მარკო ამელია (ლივორნო);*

***მცველები:*** *ფაბიო კანავარო (რეალი, ესპანეთი), ანდრეა ბარძალი, კრისტიან ძაკარდო (ორივე პალერმო), ჯანლუკა ძამბროტა (ბარსელონა, ესპანეთი), მასიმო ოდო (ლაციო), მარკო მატერაცი (ინტერი), მანუელ პასკუალი (ფიორენტინა);*

***ნახევარმცველები:*** *მაურო კამორანეზი (იუვენტუსი), დანიელე დე როსი, ალბერტო აკვილანი (ორივე რომა), სტეფანო მაური (ლაციო), კრისტიან ბროკი (მილანი), ანჯელო პალომბო (სამპდორია), სიმონე მარონე (ტორინო);*

***თავდამსხმელები:*** *ვინჩენცო იაკინტა, ანტონიო დი ნატალე (ორივე უდინეზე), ალბერტო ჯილარდინო (მილანი), ტომაზო როკი (ლაციო).*

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ქართველები უცხოეთში

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | შ | რომა 1:2 | 0 | ტრავმირებულია | 6 | 1 | 16 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | შ | მაინცი 4:0 | 90 | საგოლე პასი | 9 | 2 | 3 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | კიოლნი 0:0 | 90 | | 11 | 1 | 11 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი | შ | კიოლნი 0:0 | 0 | განაცხადში არ იყო | 4 | 0 | 11 |
| დავით სირაძე | აუე | შ | კარლ ცაისი 5:1 | 90 | 2 საგოლე პასი | 10 | 1 | 7 |
| მათე ღვინიანიძე | მიუნხენი | შ | პადერბორნი 1:0 | 90 | | 6 | 0 | 6 |
| **გერმანია. სამხრეთ რეგიონალლიგა** | | | | | | | | |
| მიხეილ საჯაია | დარმშტადტი | ს | ინგოლშტადტი 2:2 | 0 | | 9 | 0 | 16 |
| **შვეიცარია. თასის მერვედფინალი** | | | | | | | | |
| მიხეილ ყაველაშვილი | ბაზელი | ს | ბოლმი 3:2 დ.დ. | 0 | | 0 | 0 | |
| **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი | შ | მანჩესტერი 0:1 | 90 | გააფრთხილეს | 11 | 0 | 15 |
| **ჰოლანდია. ერედივიზიონი** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | ალკმაარი | შ | ჰერაკლესი 5:0 | 90 | 2 გოლი, საგოლე პასი | 10 | 6 | 3 |
| გოგა გახოკიძე | ტვენტე | შ | გრონინგენი 7:1 | 0 | | 1 | 0 | 4 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| მიხეილ აშვეთია | რუბინი | ს | ლუჩ-ენერგია 1:2 | 0 | განაცხადში არ იყო | 13 | 0 | 6 |
| გიორგი ქინქლაძე | რუბინი | ს | ლუჩ-ენერგია 1:2 | 0 | განაცხადში არ იყო | 4 | 0 | 6 |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი | ს | ლუჩ-ენერგია 1:2 | 90 | | 15 | 0 | 6 |
| ნუკრი რევიშვილი | რუბინი | ს | ლუჩ-ენერგია 1:2 | 90 | | 3 | 0 | 6 |
| ზურაბ არზიანი | რუბინი | ს | ლუჩ-ენერგია 1:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 6 |
| გიორგი ლომაია | ლუჩ-ენერგია | შ | რუბინი 2:1 | 90 | | 6 | 0 | 5 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ოთარ მარცვალაძე | დინამო | ს | კარპატი 1:1 | 0 | ტრავმირებულია | 2 | 0 | 1 |
| დავით იმედაშვილი | დინამო | ს | კარპატი 1:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 1 | 0 | 1 |
| გიორგი დემეტრაძე | მ. დონეცკი | ს | ვორსკლა 0:2 | 0 | | 12 | 2 | 6 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | ს | ხარკოვი 0:0 | 64 | შეცვალეს | 12 | 3 | 12 |
| დავით კვირკველია | მ. ზაპოროჟიე | ს | ხარკოვი 0:0 | 10 | შეცვლაზე ითამაშა | 9 | 2 | 12 |
| ლევან სილაგაძე | მ. ზაპოროჟიე | ს | ხარკოვი 0:0 | 0 | | 0 | 0 | 12 |
| ილია კანდელაკი | ჩერნომორეცი | ს | ჩერნომორეცი 0:2 | 55 | შეცვლაზე ითამაშა | 11 | 0 | 9 |
| კახა მჟავანაძე | ჩერნომორეცი | ს | ჩერნომორეცი 0:2 | 0 | | 9 | 0 | 9 |
| გიორგი შაშიაშვილი | ჩერნომორეცი | ს | ჩერნომორეცი 0:2 | 90 | გააფრთხილეს | 7 | 0 | 9 |
| ვასილ გიგიაძე | კრივბასი | ს | სტალი 0:0 | 89 | გააფრთხილეს | 14 | 7 | 10 |
| ლადო ბურდული | კრივბასი | ს | სტალი 0:0 | 59 | შეცვალეს | 13 | 1 | 10 |
| კახა ალადაშვილი | დნიპრო | შ | ზარია 3:0 | 0 | | 4 | 0 | 4 |
| რევაზ ბარაბაძე | დნიპრო | შ | ზარია 3:0 | 14 | შეცვლაზე ითამაშა | 2 | 0 | 4 |
| ჯაბა კანკავა | არსენალი | შ | ილიჩევეცი 2:0 | 78 | 1 გოლი, შეცვალეს | 12 | 4 | 5 |
| ლაშა ჯაკობია | არსენალი | შ | ილიჩევეცი 2:0 | 0 | ტრავმირებულია | 5 | 2 | 5 |
| გიორგი ციმაკურიძე | სტალი | შ | კრივბასი 0:0 | 0 | | 10 | 0 | 14 |
| სერგო ორბელაძე | ილიჩევეცი | ს | არსენალი 0:2 | 0 | | 1 | 0 | 15 |
| **საბერძნეთი. ნაციონალური ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან ცქიტიშვილი | პანიონიოსი | ს | იონიკოსი 1:1 | 0 | | 6 | 0 | 10 |
| ლევან მაღრაძე | ქსანთი | შ | ატრომიტოსი 1:0 | 89 | შეცვალეს | 7 | 0 | 14 |
| **დანია. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი ფოფხაძე | ვიბორგი | ს | მიდტიულანდი 1:3 | 1 | შეცვლაზე ითამაშა | 2 | 0 | 9 |
| **პოლონეთი. პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | ლოძი | ს | კორონა 0:1 | 0 | | 4 | 0 | 6 |
| **ბულგარეთი. უმაღლესი დივიზიონი** | | | | | | | | |
| ვლადიმერ კაკაშვილი | რილსკი | შ | როდოპა 1:0 | 0 | | 4 | 0 | 12 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# მორიდებული სტუმარი

## რატომ იჩხუბა ჯერარდმა? რაფას მიზეზი არ აინტერესებს



სტივენ ჯერარდი და იონ არნე რიისე მოედანზევე წაკამათდნენ

„არსენალთან“ ულიმღამო თამაშისა და შემაშფოთებელი მარცხის შემდეგ, „ლივერპულის“ კაპიტანი სტივენ ჯერარდი ცხვირჩამოშვებული გახლდათ და მის გუნებას თანაგუნდელთან საჯარო კონფლიქტიც ამძიმებდა — თამაშის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე, როდესაც უილიამ გალასი უმეთვალყურეოდ დარჩა და ლონდონელთა მესამე გოლი შეაგდო, ჯერარდი და იონ არნე რიისე შეიბნენ. ამ ყველაფერმა, ბუნებრივია, მწვრთნელი რაფაელ ბენიტესიც განარისხა:

„მიზეზების მოტანა და თავის გამართლება არ მჭირდება, მე მხოლოდ ერთი რამ მინდა, ჩემმა გუნდმა სტუმრად მებრძოლი ხასიათი გამოამჟღავნოს“.

და მართლაც, „ლივერპული“ მიმდინარე სეზონში სტუმრად საბრალო გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებს. აბა, სხვა რა უნდა ითქვას, თუკი გუნდმა მიმდინარე სეზონში სტუმრად მხოლოდ ერთი ქულა მოიპოვა და ერთადერთი გოლის გატანა მოახერხა.

ისევ ბენიტესი: „სტუმრად გუნდური თამაში არ გვივარგა. „არსენალთან“ მეორე ტაიმში აშკარად სუსტები ვიყავით. ჩვენ უამრავი შეცდომა დავუშვით, არადა, პირველ ტაიმში თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, მომენტებიც შევქმენით და თამაშსაც შეეხედებოდა. ერთი სიტყვით, პრობლემა არ ჩანდა, ვიდრე პირველ ტაიმში, როდესაც თამაში უკვე კარგა ხნის გახურებული იყო, გოლი არ გავუშვით. დროა, სტუმრადაც ისევე დავიწყოთ თამაში, როგორც შინ ვთამაშობთ. როგორ უნდა მოხერხდეს ეს? რალაც მოსაზრებები მაქვს, მაგრამ ამაზე მუშაობა მჭირდება“.

ასე და ამგვარად, „ლივერპული“ სტუმრად დამარცხდა „მანჩესტერ იუნაიტედთან“, „ჩელსისთან“, „ბოლტონთან“, „ევერტონთან“ და „არსენალთან“. რაც შეეხება იმ ერთადერთ გოლს, რომელიც ბენიტესის ბიჭებმა მშობლიური „ენფილდ როუდიდან“ შორს გაიტანეს, ის შეფილდში, სულ პირველ შეხვედრაში გავიდა და ისიც პენალტი გახლდათ.

„და მაინც, „არსენალთან“ მეორე გოლმა გაგვტეხა. ამ გოლის შემდეგ ჩემს ფეხბურთელებს საკუთარი ძალების რწმენა საერთოდ დაეკარგათ“ — დასძინა ესპანელმა სპეციალისტმა, რომელზეც, შეგახსენებთ, ამბობენ, რომ შესაძლოა, მილანის რომელიმე გუნდში, „ინტერში“ ან „მილანში“ გადავიდეს.

**პაპუნა ძიძია**



# ვილია იუვეს თვალში მოსვლია

**ტურინის** „იუვენტუსს“ „ვალენსიასა“ და ესპანეთის ნაკრების ფორვარდ დავიდ ვილიასთვის დაუდგამს თვალი. „ბებერ ქალბატონს“ ამ სეზონში სერია A-ს საგზურის მოპოვება ალბათ არ გაუჭირდება და კლუბიც სამომავლოდ გაძლიერებაზე ფიქრობს.

„იუვენტუსის“ სპორტული დირექტორი ალესიო სეკო ცოტა ხნის წინ ესპანეთში იყო და, აპენინური პრესის ცნობით, იქ „ვალენსიას“ იტალიელ დირექტორ ამადეო კარბონის შეხვდა, რომელსაც ბოლო ორ სეზონში გოლების მანქანად ქცეული ვილია 17,8 მილიონ გირვანქად შეუფასებია. ტურინელები მზად არიან, 24 წლის თავდამსხმელში „მესტალიას“ ბინადრებს 5,7 მილიონი გირვანქა ჩაუთვალონ და მარსელო ზალაიეტა დაუთმონ.

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე დღის წინ, ვილიას „ვალენსიას“ მწვრთნელ კიკე სანჩეს ფლორესთან შელაპარაკება მოუვიდა, რის მერეც, თუ ესპანურ პრესას ვენდობით, ფორვარდს უთქვამს, კლუბს გამოვიცვლიო. არადა, „ღამურებთან“ კონტრაქტი 2013 წლამდე აქვს.

პარალელურად „იუვენტუსი“ გუნდის ორ ვეტერანთან — ალესანდრო დელ პიეროსთან და პაველ ნედვედთან — კონტრაქტის გახანგრძლივებას აპირებს. ამბობენ, შეთანხმების ერთ-ერთი პუნქტის მიხედვით, ორივე მათგანისთვის სათამაშო კარიერის დასრულების შემდეგ კლუბის დირექტორატში თანამდებობები იქნება გათვალისწინებული.

**გიორგი ქაქაბაძე**

# თქვენ თუ გვიშველით

## მილანმა ახალი გუნდი ააწყო: კარში ბუფონი, დაცვაში საპატა, თავდასხმაში ტრეზეგე-იგუაინი



**კრიზისში** მყოფი „მილანი“ სამომავლოდ ახალ ფეხბურთელებს არჩევს. „როსონერის“, პირველ რიგში, თავდამსხმელი სჭირდება და უკვე შეუგულებია კიდეც რამდენიმე კანდიდატი. მათ შორის არის ამჟამად ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ მოთამაშედ მიჩნეული გონსალო იგუაინი, რომელსაც „რივერ პლეიტთან“ კონტრაქტი მომავალ ზაფხულს უმთავრდება.

„მილანი“ ბრწყინვალე გუნდია, რომლის წინადადებასაც სიამოვნებით განვიხილავ, თუმცა ჯერ არ გადამიწყვეტია, კიდევ რამდენიმე წინადადება მივიღე. რა თქმა უნდა, მამაჩემის, რომელიც ამავე დროს ჩემი აგენტია, რჩევასაც გავითვალისწინებ“ — თქვა 18 წლის ფორვარდმა, რომელსაც არაერთი ევროპული გრანდი უტრიალებს, მათ შორის „რეალი“ და „ჩელსი“.

„როსონერის“ დავიდ ტრეზეგეც შეუგულებია, რომელსაც ჯერ არ გადაუწყვეტია, ამ სეზონის მერე დარჩება თუ არა „იუვენტუსში“. კიდევ ერთი კანდიდატი „უდინეზესა“ და იტალიის ნაკრების თავდამსხმელი ვინჩენცო იაკინტაა. მის გარდა მილანელები უდინელთა კიდევ ორი ფეხბურთელით არიან დაინტერესებულნი. ისინი მცველები არიან — დიას ფელიპე და კრისტიან საპატა.

პარალელურად „მილანი“ მოლაპარაკებას აგრძელებს მეკარე ნელსონ დიდასთან, რომელსაც კლუბთან კონტრაქტი მომავალ ზაფხულს ეწურება. მხარეები ხელფასზე ვერ თანხმდებიან. ბრაზილიელი სეზონში 2,1 მილიონ გირვანქას ითხოვს.

ერთი ახალი მეკარე „მილანს“ ნებისმიერ შემთხვევაში დასჭირდება, რადგან ჟელკო კალაჩმა გადაწყვიტა, გუნდი დატოვოს. „სან სიროს“ ბინადართა სამიზნე ისევ ჯანლუიჯი ბუფონია. იმასაც ამბობენ, „მილანმა“ „ლივორნოს“ კარის დარაჯთან მარკო ამელიასთან უკვე მიაღწია სიტყვიერ შეთანხმებასო.

**გიორგი ქაქაბაძე**



# თებერვალი დადგება, მესი მწყობრში ჩადგება

## ბარსა ლარსონს იბრუნებს

**„ბარსელონას“** სამუელ ეტოო ხომ ტრავმირებული ჰყავს და გუშინწინ არგენტინელი ლეო მესიც დაიმტვრა. კატალონიელთა არგენტინელმა ფორვარდმა მარცხენა ფეხი ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩში „სარაგოსასთან“ დაიშავა და იძულებული გახდა, მოედანი ნაადრევად დაეტოვებინა. „ბარსას“ საექიმო შტაბის განცხადებით, მესი სასწრაფო ოპერაციას საჭიროებს. იქაური მედია კი გვამცნობს, რომ ყმაწვილი ლეო მოედანს სულ მცირე, თებერვლის შუა რიცხვებამდე ვერ დაუბრუნდება.

რა გაეწყობაო და, წამყვან ფორვარდთა ტრავმიანობით შეშფოთებული „ბარსელონას“ თავკაცობა „კამპ ნოუზე“ ძველჩაუქი ვეტერანის, შვედი ჰენრიკ ლარსონის დაბრუნებას გეგმავს. ლარსონი სიბერის ჟამს ახლა „ჰელსინგბორგში“ აგორებს ბურთს. კატალონიის მთავარგუნდში ფიქრობენ, რომ ჰენრიკს გუნდის სისტემასთან შეჩვევა არ უნდა გაუჭირდეს, რადგანაც ფრანკ რაიკარდისა და მისი შეგირდების თამაშის სტილს ზედმიწევნით კარგად იცნობს. ასე რომ, სავსებით შესაძლებელია, იანვარში ლარსონი ისევ „ბარსელონას“ ფორმაში გამოწყობილი ვიხილოთ.

ლეო მესის ტრავმა კი, რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, მილანის „ინტერის“ მხრიდან მის მიმართ სატრანსფერო ინტერესს დაემთხვა. „სარაგოსასთან“ ხსენებულ მატჩამდე ერთი დღით ადრე, ესპანურმა მედიამ მასიმო მორატის სურვილის შესახებ გვამცნო — „ინტერნაციონალეს“ პრეზიდენტი მზადაა, მესის სანაცვლოდ „ბარსელონას“ 90 მილიონი ევრო და ბრაზილიელი ადრიანო დაუთმოსო.

გუშინწინ ლეოს გარდა „ბარსას“ კიდევ ერთი ფეხბურთელი დაემტვრა — ბრაზილიელი ედმილსონი ათი დღის განმავლობაში გუნდის ლაზარეთში იქნება, რის გამოც მომავალ ტურში „მალიორკასთან“ თამაშს გამოტოვებს.

**ლადო ხომერიკი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოსწავლე და მასწავლებელი
## სესკი ვენგერს კბილებით დაიცავს



**გეხსომებათ** წინა ტურის „რეზონანსული საქმე“, არსენ ვენგერი ალან პერდიუს წინააღმდეგ. უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ისტორიას გაგრძელებები აქვს და ჯერჯერობით ექნება კიდეც — ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია, როგორც ადრევე მოგახსენეთ, ორივე მწვრთნელს გასამართლებით ემუქრება, თუმცა ამჯერად „არსენალის“ ესპანელი ფეხბურთელის, ფრანსესკ ფაბრეგასის მონაყოლზე შეჩერდებით. ფეხბურთელმა თავისი მწვრთნელი ვენგერი დაიცვა.

მაინც შევახსენებთ საქმის არსს: „ვესტ ჰემისა“ და „არსენალის“ შეხვედრაში, რომელიც მშობლიურ „აპტონ პარკზე“ „ვესტ ჰემმა“ 1:0 მოიგო, მეტოქეთა მწვრთნელები ერთმანეთს გაექაჩნენ და აი, ფაბრეგასი ამტკიცებს, რომ ამ ინციდენტის პროვოკატორი მეტოქის მწვრთნელი გახლდათ.

„არსენი მეტად წყნარი ადამიანია და მარტო ამით მტკიცდება, რომ ის პროვოკაციაზე წამოაგეს. იგი ჩხუბიან ისტორიებში, როგორც წესი, არ ეხვევა. ერთადერთი ამდაგვარი ამბავი, რომელიც მახსენდება, 2003 წელს „მანჩესტერ იუნაიტედთან“ შეხვედრის დროს მოხდა, ასე რომ, ჩემი მწვრთნელის დასაცავად ბრძოლას ვაპირებ“.

რამდენადაც ცნობილია, უსიამოვნება ვენგერსა და პერდიუს შორის პერდიუს მიერ „ვესტ ჰემის“ გოლით მეტად ექსპრესიულმა გახარებამ გამოიწვია, ხოლო რაც შეეხება 2003 წლის ინციდენტს, ის გაცილებით სერიოზული იყო: „მანჩესტერ იუნაიტედის“ ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა რუუდ ვან ნისტელროიმ შეხვედრის ბოლო წამს პენალტი ვერ გაიტანა, რასაც იქვე, მოედანზე შეხლა-შემოხლა მოჰყვა, და ინციდენტს მატჩის შემდეგ, გასახდელების ტერიტორიაზეც ჰქონდა გაგრძელება. ამბობენ, რომ იქ მანჩესტერელთა პატივცემულ მწვრთნელ ალექს ფერგიუსონს პიცაც კი გაარტყეს.

ჟურნალისტებთან ამ საუბრისას ფაბრეგასმა საკუთარ თავზე და გუნდზეც ისაუბრა.

„ჩვენ ძლიერი გუნდი გვყავს, ჩემპიონატის ბედის გადაწყვეტამდე კი ჯერ ძალიან შორია. ჩვენი თუნდაც მესამე ადგილზე ყოფნა იმას ნიშნავს, რომ პირველ და მეორე ადგილებზე მყოფთ ზურგი აეწვებათ. ჩვენ „არსენალი“ ვართ და ვიცით, როგორ მოვიგოთ. ჩვენ ბევრი ტექნიკური ფეხბურთელი გვყავს, რომელთაც ლამაზად თამაშის ყადრი იციან“.

სესკ ფაბრეგასმა თამაში „ბარსელონაში“ დაიწყო, მაგრამ 2003 წელს „არსენალში“ გადავიდა, მანამ, ვიდრე კატალონიელები პირველი პროფესიული კონტრაქტის გაფორმებას მოასწრებდნენ. ვენგერის ხელში ის შეტევაზე ორიენტირებული ნახევარმცველის როლს ასრულებს და ამ დროს მისი ნატიფი პასები დიდ ეფექტს იძლევა, თუმცა, ამ ფუნქციასთან ერთად ფაბრეგასი მცველთა წინ დაყენებულ ნახევარმცველობასაც წარმატებით ართმევს თავს. 2003 წლის 23 ოქტომბერს, როდესაც ფაბრეგასმა პირველად ითამაშა „არსენალის“ ძირითადში, ის შეიქნა უმრწმესი, ვინც მეთოფეთა მაისურა მორგო — 16 წლისა და 177 დღისა გახლდათ.

ამ სეზონში კი ვენგერმა ფაბრეგასს ახალი 8-წლიანი კონტრაქტი შესთავაზა და იმავდროულად, ეს 19 წლის ყმაწვილი გახდა ესპანური ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა, ვინც მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშა. სხვათაშორის, სესკი „ჟილეტის“ გამოკითხვით, მუნდიალის მონაწილე ახალგაზრდათა შორის საუკეთესოც გახდა.

„თანდათანობით თამაშს ვსწავლობ. თავს ვარსკვლავად ნამდვილად არ მივიჩნევ, მაგრამ როდესაც ვისმენ, თუ როგორ ლაპარაკობენ მწვრთნელები ჩემი პროგრესის შესახებ, ძალიან მსიამოვნებს. მწვრთნელთა შორის კი ჩემთვის საგანგებო ადგილზე ვენგერი დგას. მას შეუძლია ისე დაგარიგოს ჭკუა, როგორც არავის. ვენგერი დიდი ფსიქოლოგია და ამ კუთხითაც ძალიან ბევრს მუშაობს ჩემთან.

თუცა, მე ახალი ვიეირა არ გახლავართ. პატრიკი პატრიკია, ის უნიკალურია, სესკი კი სესკია. იმედი მაქვს, რომ ფანებს ეს კარგად ესმით“.

**პაპუნა ძედია**



ზლატან იბრაჰიმოვიჩი რობერტო მანჩინიმ გაამართლა

# მანჩინიმ ჩინი მოიმატა: ზედიზედ ექვსი მოიგო

**მილანის** „ინტერმა“ კვირას „პარმას“ სტუმრად 2:1 კი მოუგო და „პალერმოსთან“ ერთად სერია A-ს ლიდერობს, მაგრამ „ნეროაძურის“ მწვრთნელი რობერტო მანჩინი მისი შეგირდების თამაშით ბოლომდე კმაყოფილი მაინც არ არის. „ინტერმა“ „ენიო ტარდინიზე“ გამარჯვების გოლი მსაჯის მიერ მეორე დამატებულ წუთზე შეაგდო. ეს შეცვლაზე შესულმა ხულიო რიკარდო კრუზმა მოახერხა. ამას ზლატან იბრაჰიმოვიჩის გაძევება მოჰყვა, რომელმაც უხასიათობა კიდევ ერთხელ გამოაჩინა, ჯერ ბურთს გაჰკრა ფეხი, მერე კი მსაჯს ცინიკურად ტაში დაუკრა და წითელი ბარათიც „დაიმსახურა“.

„პოტენციალი და მომატების საშუალება ყოველთვის არის. ჩვენც უნდა ვეცადოთ, თამაში გავაუმჯობესოთ და ერთ ადგილზე არ დავრჩეთ. არა მგონია, ჩვენთვის იოლი სეზონი იყოს. „პალერმო“ და „რომა“ მშვენივრად გამოიყურებიან, თან ფავორიტები ყოველთვის მოლოდინს ვერ ამართლებენ. „პარმას“ მშვენიერი გუნდი ჰყავს, რომელსაც დასაკარგი არაფერი აქვს და მათი ძალაც ამაშია. მეტოქის მეკარემ რამდენიმე რთული ბურთი მოიგერია, მაგრამ კარგია, რომ ბოლომდე ვიბრძოლეთ და მიზანსაც მივაღწიეთ. რაც შეეხება იბრაჰიმოვიჩის გაძევებას, ცუდი ის არის, რომ თანამედროვე ფეხბურთში მოთამაშე შეიძლება ყველაფრის გამო გააფრთხილონ, ეს მსაჯზეა დამოკიდებული. ვფიქრობ, წესები დასახვეწია“ — აღნიშნა მანჩინიმ.

ხულიო კრუზი „ინტერის“ რიგებში კვლავაც ერთ-ერთი სასარგებლოა, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში მაინც ვერ ხვდება, თუმცა, როგორც ჩანს, თავად არგენტინელ ფორვარდს ეს სულაც არ ანაღვლებს და თანახმაა, შეცვლებზე ითამაშოს.

„ამ მატჩის მოგება გვინდოდა და ამისთვის არაფერი დავიშურეთ. საბედნიეროდ, მიზანს მივაღწიეთ და მიხარია, რომ საჭირო გოლი მე გავიტანე. „პარმას“ კი კომპლიმენტები ჩემგან ბრწყინვალე თამაშისთვის. იმედია, ეს სამი ქულა სკუდეტოს მოპოვებაში დაგვეხმარება. ბოლო წლებში ჩემი თამაშით და შედეგებით ძალიან კმაყოფილი ვარ. ბევრს ვვარჯიშობ და ვცდილობ, როცა არ უნდა დამიძახოს მწვრთნელმა, მზად ვიყო“ — განაცხადა კრუზმა.

„ინტერის“ მცველი ფაბიო გროსო: „ვიცოდით, რთული მატჩი გველოდა, „ინტერს“ ხომ „ენიო ტარდინიზე“ ყოველთვის უჭირს. მაგრამ კარგად ვითამაშეთ, განსაკუთრებით მეორე ტაიმში და დამსახურებულადაც მოვიგეთ. პირადად ჩემი თამაშითაც კმაყოფილი ვარ“.

სხვათაშორის, გროსოს იტალიის ნაკრებში თურქეთთან ამხანაგური მატჩისთვის არ დაუძახეს და მას ჟურნალისტებმა ამაზეც ჰკითხეს. მუნდიალის ერთ-ერთი მთავარი გმირის თქმით, იგი რობერტო დონადონის ესაუბრა და „სკუადრა აძურას“ მწვრთნელს უთქვამს, ამჯერად შენი დასვენება ვარჩიეო.

„ნეროაძურისა“ და იტალიის ნაკრების მცველი მარკო მატერაცი: „მეტოქემ გვარიანი წინააღმდეგობა გაგვიწია, თუმც ბოლო წუთებში აშკარა უპირატესობას ვფლობდით და დამსახურებულად ვიმარჯვეთ. „პარმას“ მეკარემ რამდენიმე საოცარი ბურთი მოიგერია, თორემ სხვაობა უფრო დიდი იქნებოდა და ბოლო წუთამდეც არ მივიდოდა საქმე. რა თქმა უნდა, მომატება შეგვიძლია და თუ ამას მოვახერხებთ, ჩვენი შეჩერება ძალიან გაძნელდება“.

დაბოლოს, ეს „ინტერის“ ზედიზედ მეექვსე გამარჯვება იყო, ყველა ტურნირის ჩათვლით. „ნეროაძურის“ რობერტო მანჩინის თავკაცობით აქამდე მიჯრით ექვსი მატჩი არასოდეს მოეგო.

**კოკი ძანდელაკი**

# ვაი წიგნისგან
## მოიესი რუნის უჩივის

**საოცარი** ამბავია, „ევერტონის“ მწვრთნელი დევიდ მოიესი თავის ყოფილ ფეხბურთელს, ახლა კი „მანჩესტერ იუნაიტედის“ ვარსკვლავ უეინ რუნის სასამართლოში უჩივის. ეს რომ შეიტყვეს ინგლისელმა ჟურნალისტებმა, უმალ გამოიკვლიეს და დაადგინეს, რომ მსგავსი რამ ფეხბურთის სამშობლოში არასდროს მომხდარა, მწვრთნელს შეგირდისთვის არ უჩივლია.

რომ გაიგო მოიესი ბრძოლისთვის ემზადებაო, კბილების ლესვა დაიწყო რუნის გარემოცვამაც. ფეხბურთელის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ გოჯის დათმობასაც არ აპირებენ და რაკილა საქმე სასამართლოზეა მიმდგარი, ისინი მოგებისთვის იბრძოლებენ.



იყო დრო, დევიდ მოიესი და უეინ რუნი სიამტკბილობაში იყვნენ

და მაინც, რა არის მოიესის განრისხების მიზეზი? რუნის ავტობიოგრაფიული წიგნი რომელსაც სათაურად „დღევანდლამდე ჩემი ცხოვრება“ ჰქვია. ამ წიგნში რუნის დევიდ მოიესთან და „ევერტონში“ გატარებულ დღეებთან დაკავშირებული ამბები ცალკე აქვს აღწერილი და, როგორც ამბობენ, თავად ეს აღწერა იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, რამდენადაც ის, რაც მოიესმა მის უკან ამოიკითხა, ხოლო აი, ეს რაღაა, ჩვენ ნამდვილად ვერ მოგახსენებთ.

როგორც ფეხბურთელის მავანმა მეგობარმა, ცხადია, გარკვეული თანხის საფასურად განაცხადა, რუნიმ მოიესის ოფიციალური სარჩელის ქაღალდი უკვე მიიღო, თუმცა მოიესი, თურმე საკუთრივ ფეხბურთელის გარდა, უჩივის გამომცემლობას და იმ ჟურნალისტსაც, რომელმაც რუნის მოგონებები წიგნად ჩამოწერა, სხვა სიტყვებით ავტორს. ცნობილი გახდა ისიც რომ, როგორც გამომცემლობა, ასევე ავტორი, ვერ ხვდებიან, რა არის აქ საჩივლელი და სასამართლოში ბოლომდე დადგომას აპირებენ.

გამომცემლობა, რომელზეც საუბარია, საგამომცემლო საქმის გოლიათი „ჰარპერ კოლინზი“ გახლავთ, ხოლო ავტორი ჰანტერ დევისი.

**პაპუნა ძედია**



# მაურინიუმ გაქცეული მოაბრუნა

## ჩელსიმ პენსიონერი ჰედმანი გაიხსენა

**ინგლისური** „ჩელსი“ კვლავაც მეკარის ძიებაშია და, როგორც ჩანს, სასურველ კანდიდატს მიაგნო კიდეც — ეს ვეტერანი შვედი გოლკიპერი მაგნუს ჰედმანია, რომელიც ფეხბურთიდან გასულ ზაფხულს წავიდა, მაგრამ ლონდონელთა წინადადებით დაინტერესდა და შესაძლოა, მინდორს დაუბრუნდეს.

მოგეხსენებათ, „ჩელსის“ სერიოზულად დაშავებული პეტრ ჩეხის კვალიფიციური შემცვლელი სჭირდება. ჟოზე მაურინიუს გუნდი ახლა კარლო კუდიჩინისა და ენრიკე ილარიოს ამარაა დარჩენილი და მესამე მაღალი კლასის მეკარეც ამად უნდა, თუმც ლონდონელებს იანვრამდე მხოლოდ თავისუფალი აგენტის სტატუსით მყოფი ფეხბურთელის დამატება შეუძლიათ. ასეთი გოლკიპერები კი არცთუ ბევრნი არიან.

შეგახსენებთ იმასაც, რომ ცოტა ხნის წინ „ჩელსიში“ ფრანგი სტეფან პორატო ისინჯებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. ჰედმანმა კი, რომელიც რამდენიმე დღეა, ლონდონელებთან ერთად ვარჯიშობს, კლუბის უფროსობას თავი მოაწონა.

„ჩვენ მხოლოდ ისეთი ფეხბურთელის დამატება შეგვიძლია, რომელიც თავისუფალი აგენტია და მასზე უკეთესი მეკარე ვერ ვიპოვეთ. მაგნუს ჰედმანი საკმაოდ დიდი ხანია, ფეხბურთს აღარ თამაშობს და შესაბამისად, კუდიჩინისა და ილარიოს კონკურენციას ჯერ ვერ გაუწევს, მაგრამ მისი შესაძლებლობები და შემართება მომეწონა, როგორც პიროვნებაც ჩინებულია. ალბათ, მას სეზონის ბოლომდე გავუფორმებთ კონტრაქტს“ — თქვა ჟოზე მაურინიუმ, „ჩელსის“ მწვრთნელმა.

**გიორგი ძაძაბაძე**

# ტრანსარაფერი

## რა ნაზია სილვიო და რა ზრდილია შევა

**უკვე** გაუწყეთ სილვიო ბერლუსკონისა და ანდრეი შევჩენკოს სატელეფონო საუბრის შესახებ, რასაც დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა, შესაძლოა, უკრაინელი ფორვარდი „სან სიროზე“ დაბრუნდესო, თუმც ეს მყისვე უარყო თავად შევამაც და „როსონერის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმაც.

„შევჩენკოს დაბრუნება ტექნიკურად შეუძლებელია, მას ევროკავშირის პასპორტი არ აქვს და მისი ადგილი რიკარდო ოლივეირამ დაიკავა. თავი რომ დავანებოთ სხვა გარემოებებს, „ჩელსის“ გადახდილ მილიონებს, თავად შევჩენკოს გაკეთებულ არჩევანს და ასე შემდეგ. ჩვენი პრეზიდენტის მესმის, სილვიო ბერლუსკონი გრძნობებსა და სურვილს აჰყვა, მაგრამ ეს ტრანსფერი არარეალურია“ — განაცხადა გალიანიმ.

ანდრეი შევჩენკო: „ეს ჭორია. ჩემი სიტყვები დაბრუნების შესახებ, ჟურნალისტებმა სხვა ინტერპრეტაციით გამოიყენეს. ბერლუსკონისთან საუბრისას ამის თქმა თავაზიანობა იყო და მეტი არაფერი“.

# კაპელო ძაან მადაზმა

## ახალი შეკვეთა: იგუაინი, გაგო, მარსელო. სულ 105 მილიონი

**თუ მადრიდის** „რეალმა“ იანვარში გონსალო იგუაინის, ფერნანდო გაგოსა და ბრაზილიელი მარსელოს ტრანსფერები გაჩარხა, „სამეფო კლუბის“ სატრანსფერო დანახარჯი ივლისში პრეზიდენტ რამონ კალდერონის თანამდებობაზე მოსვლის შემდეგ 105 მილიონი ევრო იქნება. „რივერ პლეიტი“ იგუაინს 12 მილიონ ევროდ აფასებს. „ფლუმინენსეს“ მარსელომ „რეალთან“ 9 მილიონიანი წინასწარი ხელშეკრულება უკვე გააფორმა, ხოლო ფერნანდო გაგოს „ბოკადან“ წასვლის სავარაუდო ფასი კი 20 მილიონი ევროა.

საერთო ჯამში ზემოხსენებული ფეხბურთელების გადმოსაბირებლად „რეალი“ მზადაა, დაახლოებით 40 მილიონი ევრო გაიღოს. მადრიდელებს ძლიერი ახალწვეულები სჭირდება, ფაბიო კაპელომ ხომ განაცხადა, რომ გუნდი წლეულს სამ შეხვედრაზე მეტს არ წააგებს.

თავიდან პრეზიდენტ რამონ კალდერონის შტაბს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ კაკას, სესკ ფაბრეგასისა და არიენ რობენის ჩაყვანა სურდა, მაგრამ ეს ტრანსფერები ჩაიშალა და მწვრთნელსა და სპორტულ დირექტორ პრედრაგ მიატოვიჩის რჩევით, სენიორ კალდერონმა 12 მილიონ ევროდ ფაბიო კანავარო, 12 მილიონად ემერსონი, 15 მილიონად რუუდ ვან ნისტელროოი და 26 მილიონად მაჰამადუ დიარა იყიდა.

ერთი სიტყვით, „რეალმა“ სატრანსფეროდ 65 მილიონი ევრო უკვე გასცა, მაგრამ პრეზიდენტმა მადრიდული ინჩადის ალფრთოვანება ჯერ ვერ მოახერხა, ვარსკვლავებით დახუნძლული გუნდი საკმაოდ არასტაბილურად თამაშობს.

**ლადო ხომერიკი**



გონსალო იგუაინი 12 მილიონი ევრო ღირს



# ჰიდინკის ნაკვალევზე ავსტრალიამ არნოლდი დაიმოწმა

**ავსტრალიის** ნაკრებს კვლავაც გრემ არნოლდი გაწვრთნის. ოკეანელთა ეროვნული გუნდის ყოფილი ფეხბურთელი ნაკრების სათავეში აზიის ერთა თასის დასრულებამდე დარჩება.

არნოლდი ადრე იოჰან ნეესკენსთან ერთად ნაკრებში გუს ჰიდინკის თანაშემწე იყო. მერე ჰიდინკი სამწვრთნელოდ რუსეთს წავიდა, იოჰან ნეესკენსმა კი თავის ძველ „ბარსელონას“ მიაშურა და ავსტრალიელთა ნაკრებიც დღემდე არნოლდის განკარგულებაშია. ხსენებული დამრიგებელი ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებსაც უთავკაცებს.

ავსტრალიის ფეხბურთის ასოციაციამ დაადასტურა, რომ მისტერ არნოლდს თავკაცად ივლისამდე, ერთა თასის დასრულებამდე დატოვებენ, მერე კი ასოციაცია ნაკრების წინამძღოლად ჰიდინკის დონის ევროპელი სპეციალისტის მიწვევას ეცდება.

გრემ ჯეიმს არნოლდი 1963 წელს სიდნეიში დაიბადა. ავსტრალიურ კლუბებში ბურთაობის შემდეგ ჰოლანდიურ „როდაში“, „ბრედაში“ და ბელგიურ „შარლერუაში“ ითამაშა. გამოდიოდა იაპონურ ჯეი ლიგაშიც, ხოლო მოთამაშის კარიერა ადგილობრივ „ნორთერნ სპირიტში“ დაასრულა.

**ლადო ხომერიკი**



# არგენტინა ჩაწყობილია!

## მარადონამ ფაქტები ჩამოთვალა

**დიეგო მარადონამ** თავისი „შოუბოლის“ გუნდი მექსიკაში ჩაიყვანა, თუმცა მას მიზეზების გამო მთავარი პატაგონიელი ვარსკვლავები თან არ ახლდნენ.

დიდმა ლეგენდამ შაბათ-კვირას მექსიკელთა გუნდთან ორი მატჩი გამართა. კაქტუსისქვეყნელთა ნაკრებიდან სხვაზე უკეთ კამპოსმა და ერმოსილიომ იბურთავეს.

მარადონა რის მარადონა იქნებოდა, მედიის ყურადღება მხოლოდ ახალგამოგონებული შოუბურთაობით რომ მიეპყრო. ჰოდა, მექსიკაში მან განაცხადა, რომ არგენტინის ჩემპიონატში ჩაწყობილი მატჩები მომრავლდა.

„შეიძლება ვცდები, მაგრამ ჩვენს ჩემპიონატში უცნაური, საეჭვო შეხვედრებმა იმატა. გაიხსენეთ თუნდაც „ბოკა“ — „ესტუდიანტესი“, „არგენტინოს ხუნიორსი“ — „რივერ პლეიტი“, „ბოკა“ — „სან მარტინი“... ყველა ეს მატჩი საძაგლად დადგმული ფარსი იყო, ალბათ არგენტინაში არის ხალხი, რომელიც ჩაწყობილ თამაშებს ჩემზე მეტად მიაქცევს ყურადღებას, რადგან თავის დროზე ამაზე თვალი დავხუჭეთ და კორუფცია გაიფურჩქნა. ეს სამარცხვინო ჯაჭვი აუცილებლად უნდა გავწყვიტოთ“.

დიეგომ არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ხულიო გრონდონა უმოქმედობაში დაადანაშაულა: „პრეზიდენტი ჩემპიონატში მომხდარ უწესრიგობებს, თამაშების ჩაწყობასა და მატჩების დროს ხულიგნობას თითქოს ვერ ამჩნევს. თუ ასე გაგრძელდა, სავალალო სიტუაციაში აღმოვჩნდებით“.

შეგახსენებთ, მარადონა გრონდონასთან ნაჩხუბარია და ალბათ ამიტომაცაა, ასე საჯაროდ რომ აკრიტიკებს.

**ლადო ხომერიკი**

# ლუჩო, პორტუზე შეყვარებული მაჩო



ლუჩო გონსალესი (მარცხნივ) „პორტუს“ ერთგულია

**არგენტინელმა** ლუჩო გონსალესმა „პორტუსთან“ კონტრაქტი 2011 წლამდე გააზანგრძლივა. ოკეანისგაღმელის შეძენას მადრიდის „ატლეტიკო“ აპირებდა, თუმც ლუჩომ ადრევე გააცხადა, რომ პორტუგალიაში ბურთაობითაც კმაყოფილია.

„კმაყოფილი ვარ. მიხარია, რომ „პორტუსთან“ ხელშეკრულება გავახანგრძლივე. ყოველთვის ვცდილობ, ჩემი საქმე კარგად ვაკეთო და „პორტუს“ ხელმძღვანელობაც ამას კარგად ამჩნევს“ — თქვა ლუჩო გონსალესმა.

მისივე თქმით, არგენტინელს კლუბის უფროსობასთან და თანაგუნდელებთან საერთო ენის გამონახვა არ უჭირს.

„პორტუში“ 2005 წლის ზაფხულში მოვედი და ახლა გუნდის კაპიტანი ვარ. ჩემი თანაგუნდელების მჯერა და ისინიც საპასუხოდ დიდ ნდობას მიცხადებენ“.

როგორც ზემოთ ვთქვით, მან კონტრაქტი განაახლა და ცხადია, არსად წასვლას არ აპირებს: „კლუბიც ძალიან შემიყვარდა და აქაურ ინჩასობასაც პატივს ვცემ. შარშან „პორტუმ“ ქვეყნის ჩემპიონობა და თასი მოიგო, წელსაც ჩემპიონატის ლიდერები ვართ და ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გასვლის შანსებსაც ვინარჩუნებთ. სადღეისოდ ჩემთვის სხვა გუნდი არ არსებობს“.

ბოლოს გეტყვით, რომ ცოტა ხნის წინ „პორტუსთან“ ხელშეკრულება მწვრთნელმა ჟესუალდო ფერეირამაც განაახლა. იგი გუნდში შარშან აგვისტოში მივიდა და ახალი კონტრაქტით, „ეშტადიუ დრაგაუზე“ 2008 წლის ივნისამდე მოუწევს დარჩენა.

**ლადო ხომერიკი**

# ოთხი, რა, ცოტაა?!

## რუუდ ვან ნისტელროი რობოტი არ არის

რუუდ ვან ნისტელროი საამსეზონო პრიმერას მთავარმეგოლეებს შეუერთდა. ჰოლანდიელმა გუშინწინ პამპლონურ „ელ სადარზე“ ფანტასტიკურად იბურთავა და „ოსასუნას“ პოკერი მიართვა. „რეალისთვის“ ეს გამარჯვება ძალზედ მნიშვნელოვანი იყო, „ბერნაბეუზე“ „სელტასთან“ მარცხის შემდეგ „ოსასუნას“ განადგურება მადრიდელ ფანებს ჭრილობაზე მალამოდ მოუხდათ. „ბრწყინვალე დღე მქონდა, თუმცა უფრო ბედნიერი მაშინ ვიქნები, მომავალ ტურში „სანტიაგო ბერნაბეუზე“, „რასინგთან“ მატჩში თუ კიდევ გავიტანო“ — თავიდანვე უთხრა ვან ნისტელროიმ ესპანელ ჟურნალისტებს და ეს ინტერვიუც გამოცხვა...



— „რეალმა“ „ოსასუნა“ შოკში ჩააგდო, თქვენ კი მეტოქე პირადად გაანადგურეთ...

— ოთხი გოლი ადრეც გამიტანია, ეს ორი წლის წინ ჩემპიონთა ლიგაში პრაღის „სპარტასთან“ მატჩში მოხდა, თუმც ეს თამაში უნიკალურია, სულ ოთხი თუ ხუთი საგოლე ეპიზოდი გვქონდა და თითქმის ყველა გამოვიყენეთ. ვფიქრობ, ყველამ კარგად ვითამაშეთ, გუნდმა ჩინებულად იბურთავა და ბედიც ჩემ მხარეს იყო. ჩვენ კიდევ ერთი გოლიც გავიტანეთ, რომელიც დარწმუნებული ვარ წესების დარღვევით არ გასულა.

— თავად მატჩზე რას გვეტყვით?

— დაახლოებით ბრიტანული სტილის ბურთაობა იყო, პრემიერლიგაში მსგავს მატჩებში ხშირად მითამაშია. „ოსასუნა“ საკმაოდ აგრესიულად და სწრაფად გვიტევდა, თუმცა „რეალს“ პრაქტიკულად შეცდომა არ ჰქონია და შედეგიც შესაფერისი მივიღეთ. ეს მორიგი სამი ქულაა, შაბათს კი მნიშვნელოვანი მატჩი გველოდება. თითოეულ შეხვედრაში ისე უნდა ვიბურთაოთ, როგორც „ელ სადარზე“. წინა ტურში შინ „სელტასთან“ წავაგეთ და ყველანი გულდაწყვეტილები ვიყავით. შაბათს კი „რასინგს“ ვმასპინძლობთ და აუცილებლად უნდა მოვიგოთ.

— გუნდმაც მნიშვნელოვანი სამი ქულა აიღო...

— ძალიან კარგად ვითამაშეთ და ზუსტად ასეთივე შინაც უნდა გავიმეოროთ. „ბარსელონასთან“ და კიევის „დინამოსთან“ „ბერნაბეუზე“ წუნი არ დაგვედებოდა, ახლა მთავარია ქულები მომავალ ტურში „რასინგსაც“ ავართვათ. კარგი იქნება, თუ ყოველ მატჩს უდიდესი ყურადღებით მოვეკიდებით. ესპანური პრიმერადივიზიონი მსოფლიოს საკლუბო ტურნირებს შორის ერთ-ერთი ურთულესია და აქ ყველა თამაშს ვერ მოიგებ. რაც დრო გადის, „რეალი“ უფრო ძლიერდება — მერწმუნეთ, ამას შაბათს „რასინგთანაც“ დავამტკიცებთ.

— „ოსასუნა“?

— მატჩის საბოლოო შედეგი მეტოქის საფეხბურთო დონეზეცაა დამოკიდებული. „ოსასუნამ“ მედგარი წინააღმდეგობა ვერ გაგვიწია, თუმცა მეტოქე გულხელდაკრეფილი ნამდვილად არ მდგარა მოედანზე. უფრო მეტის გატანაც შეგვეძლო, მაგრამ რობოტები არ ვართ და საგოლე ეპიზოდები სრულად ვერ გამოვიყენეთ. მთავარია, რომ „რეალმა“ გაიმარჯვა და სამი ქულაც ჩვენ გვერგო.

— რუუდ ვან ნისტელროი და „ოსასუნას“ მეკარე რიკარდო იყო დრო, „მანჩესტერში“ ერთად თამაშობდნენ...

— მატჩის მერე რიკარდოსთან მივედი და მოვიკითხე. ფეხბურთი ასეთია, მოედანზე მეგობრები არ მყავს, მაგრამ ცხოვრებაში რიკარდოსთან მშვენიერი ურთიერთობა მაქვს. იგი შესანიშნავი ადამიანია.

## იაპონია

ჯეი ლიგა
XXX ტური

სერეზო — ივატა 2:3; იჩიჰარა — ნიიგატა 1:3; ფუკუოკა — ჰიროშიმა 0:2; ტოკიო — კავაზაკი 5:4; კაშიმა — გამბა 3:1; კიოტო — კოფუ 1:1; ოიტა — ნაგოია 0:1; შიმიცუ — ომია 1:1; ურავა — იოკოჰამა 1:0

## სლოვენია

პირველი ლიგა
XVIII ტური

დომჟალე — დრავა 1:1; კოპერი — ნაფტა 2:2; მარიბორი — ფაქტორი 3:2; პუბლიკუმი — ბელა კრაინა 5:0; ნოვა გორიცა — პრიმორიე 3:1

## სლოვაკეთი

პირველი ლიგა
XX ტური

დუბნიცა — ბანსკა ბისტრიცა 0:1; კოშიცე — ტრნავა 0:0; ნიტრა — რუჟომბეროკი 1:0; არტმედია — ტრენჩინი 4:1; სენეცი — ინტერი 2:1; სლოვანი — ჟილინა 0:2

## უნგრეთი

ბორსოდი ლიგა
XIII ტური

უიპეშტი — ტატაბანია 2:0; დიორი — ფეჰერვარი 2:0; რეაკი — დებრეცენი 1:3; დიოშდიორი — მტკ 0:1; პეჩი — ვაშაში 2:1; შოპრონი — კაპოშვარი 1:0; ზალაეგერსეგი — ვაცი 1:1; ჰონვედი — პაკში 0:0

## ხორვატია

პირველი დივიზიონი
XV ტური

ციბალია — ოსიეკი 3:0; კამენი — ვარტექსი 1:4; პულა — შიბენიკი 1:1; რიეკა — სლავენი 2:0; ზაგრები — ჰაიდუკი 3:0. *მედიმურიე — დინამო გადაიდო*

## ავსტრია

პირველი დივიზიონი
XVI ტური

ავსტრია (ლ) — გრატკორნი 2:4; ჰარტბერგი — ადმირა 1:2; კერნტენი — ლუსტენაუ 1:1; ლეობენი — ავსტრია (მ) 4:0; პარნდორფი — ლინცერი 0:1; შვანენშტადტი — კაპფენბერგი 1:0

## ნორვეგია

ტიპელიგა
გადასასვლელი პლეი ოფი
საპასუხო მატჩი

ბრინი 1:7 ოდ გრენლანდი (0:3)

## ბულგარეთი

უმაღლესი ლიგა
XIII ტური

ბეროე — ლოკომოტივი (ს) 2:2; ბოტევი — ჩერნომორეცი 5:1; ლიტექსი — ჩერნო მორე 0:0; რილსკი — როდოპა 1:0; სპარტაკი — ბელასიცა 3:3; ლოკომოტივი (პ) — ლევსკი 1:3; სლავია — ვიჰრენი 3:1; ცსკა — მარეკი 2:0

## არგენტინა

აპერტურა
XV ტური

ბანფილდი — არსენალი 1:2; ესტუდიანტესი — რივერ პლეიტი 3:1; ხიმნასია (ლ) —ველესი 0:3; ბელგრანო — ხიმნასია (ხ) 0:1; კოლონი — ლანუსი 1:3; როსარიო — არგ. ხუნიორსი 2:1; გოდოი კრუზი — ნუევა ჩიკაგო 4:0; ბოკა ხუნიორსი — კილმესი 3:1; სან ლორენსო — ოლდ ბოისი 2:1. *ინდეპენდიენტე — რასინგი 2:0-ზე ჩაიშალა*

## მექსიკა

აპერტურა
XVII ტური

კერეტარო — ატლასი 1:1; კრუზ ასული — სანტოსი 1:0; მონტერეი — ტოლუკა 2:1; გვადალახარა — ხაგუარესი 1:0; პაჩუკა — ატლანტე 2:2; ნეკაქსა — ვერაკრუსი 1:2; უნამი — ტიგრესი 5:0; ამერიკა — მორელია 2:1; ტეკოსი — სან ლუისი 0:0

## უკრაინა

უმაღლესი ლიგა
XIV ტური

კარპატი — დინამო 1:1; შახტარი — ჩერნომორეცი 2:0; სტალი — კრივბასი 0:0; არსენალი — ილიჩევეცი 2:0; დნიპრო — ზარია 3:0; ტავრია — მეტალისტი 2:0; ხარკოვი — მეტალურგი (ზ) 0:0; ვორსკლა — მეტალურგი (დ) 2:0

## სერბეთი

სუპერლიგა
XIII ტური

ბეზანია — ბანატი 2:2; ბორაცი — ვოივოდინა 2:1; ჰაიდუკი — ოფკ 2:0; პარტიზანი — ვოზდოვაცი 2:0; ზემუნი — მალადოსტი 1:1; სარტიდი — ცრვენა ზვეზდა 1:2

## რუმინეთი

A დივიზიონი
XV ტური

არჯეში — ჩაჰლაული 1:0; ვასლუი — პანდურიი 1:0; არადი — პეტროსანი 3:0; რაპიდი — უნირია 1:0; დინამო — ოცელული 3:0; გლორია — კლუჟი 3:2; უნივერსიტატია — ტიმოშოარა 0:1; ფარული — პოლიტეხნიკა 3:0; სტიაუა — ნაციონალი 6:0

## ირლანდია

პრემიერლიგა
XXX ტური

კორკი — შელბურნი 1:0; ბოჰემიანსი — ბრეი 1:1; სენტ პატრიკსი — დერი 0:1; დუბლინი — ლონგფორდი 3:1; სლიგო — დროჰედა 2:3

## ბრაზილია

სერია A
XXXV ტური

ინტერნასიონალი — ფორტალეზა 3:0; სანტოსი — პარანა 1:0; ვასკუ და გამა — ჟუვენტუდე 1:1; ფიგეირენსე — კორინთიანსი 0:0; ფლუმინენსე — კრუზეირო 1:0; გოიასი — სან პაულუ 0:2; პონტე პრეტა — ფლამინგო 3:0; ატლ. პარანენსე — გრემიო 2:3; პალმეირასი — ბოტაფოგო 2:1; სანტა კრუზი — სან კაეტანო 0:3

## დანია

პირველი დივიზიონი
XV ტური

ფკ ორჰუსი — ტისტედი 1:1; ჰელერუპი — ორჰუსი 1:2; კოლდინგი — ნესტვედი 1:2; ფრემი — იოლსტიკე 1:3; აკადემისკი — კიოგე 2:5; ფრედერისია — ბრაბრანდი 3:2; ჰერფიოლგე — ლიუნგბიუ 0:1; სიონდერისკე — ფრემადი 3:0

## შვედეთი

ალსვენსკა
გადასასვლელი პლეი ოფი
საპასუხო მატჩი

ჰეკენი 1:2 ბრომაპოიკარნა (0:2)

## ჩილე

პრიმერადივიზიონი
XVII ტური

უნიონ ესპანიოლა — ო ჰიგინსი 0:2; ანტოფაგასტა — ლა სერენა 3:2; სან მორნინგი — უნივერსიდად დე ჩილე 1:0; პუერტო მონტი — პალესტინო 2:1; ევერტონი — კობრესალი 2:0; უნივერსიდად კათოლიკა — კობრელოა 1:0; კოლო კოლო — აუდაქს იტალიანო 2:3; უაჩიპატო — უნივერსიდად კონსეპსიონი 2:3; კოკიმბო — უონდერერსი 2:0

## აშშ

MLS. პლეი ოფი
ფინალი

ნიუ ინგლენდი 1:1(პენ.3:4) ჰიუსტონი

## როიალ ლიგა

A ჯგუფი. I ტური

როზენბორგი 1:3 ბრანი

C ჯგუფი. I ტური

ელფსბორგი 4:0 აიკ

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

**ამხანაგური მატჩები**

**14 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:30 | 389 | უელსი-ლიხტენშტაინი | 1.10 | 7.00 | 17.00 | 1.00 | 1.03 | 4.95 |
| 23:45 | 390 | ავსტრალია-განა ნ | 2.50 | 3.10 | 2.65 | 1.38 | 1.28 | 1.42 |

**15 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 391 | ესტონეთი-ბელარუსი | 2.70 | 3.00 | 2.45 | 1.42 | 1.28 | 1.34 |
| 19:00 | 392 | მალტა-ლიტვა | 4.20 | 3.30 | 1.75 | 1.84 | 1.23 | 1.14 |
| 20:30 | 393 | სლოვაკეთი-ბულგარეთი | 2.20 | 3.10 | 3.10 | 1.28 | 1.28 | 1.54 |
| 21:00 | 394 | შვედეთი-კოტ დიუარი ნ | 2.60 | 3.00 | 2.55 | 1.39 | 1.28 | 1.37 |
| 23:00 | 395 | უნგრეთი-კანადა | 1.65 | 3.30 | 4.70 | 1.10 | 1.22 | 1.93 |
| 23:00 | 396 | ჰოლანდია-ინგლისი | 2.20 | 3.10 | 3.10 | 1.28 | 1.28 | 1.54 |
| 23:15 | 397 | სერბეთი-ნორვეგია | 1.80 | 3.20 | 4.20 | 1.15 | 1.25 | 1.81 |
| 23:15 | 398 | ჩეხეთი-დანია | 1.80 | 3.20 | 4.20 | 1.15 | 1.25 | 1.81 |
| 23:30 | 399 | შვეიცარია-ბრაზილია | 4.30 | 3.30 | 1.75 | 1.86 | 1.24 | 1.14 |
| 23:30 | 400 | ავსტრია-ტრინიდადი | 1.60 | 3.40 | 5.30 | 1.08 | 1.22 | 2.07 |
| 23:50 | 401 | იტალია-თურქეთი ნ | 1.75 | 3.20 | 4.30 | 1.13 | 1.24 | 1.83 |
| 23:45 | 402 | საფრანგეთი-საბერძნეთი | 1.40 | 3.90 | 7.00 | 1.03 | 1.16 | 2.50 |
| 23:45 | 403 | ესპანეთი-რუმინეთი | 1.45 | 3.60 | 7.00 | 1.03 | 1.20 | 2.37 |

**16 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 404 | იამაიკა-პერუ | 2.40 | 3.10 | 2.55 | 1.35 | 1.23 | 1.39 |

**ეჩ 2008 შესარჩევი მატჩები**

**15 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 406 | მაკედონია-რუსეთი | 5.00 | 3.20 | 1.70 | 1.95 | 1.26 | 1.11 |
| 21:00 | 407 | ისრაელი-ხორვატია | 2.80 | 3.20 | 2.30 | 1.49 | 1.26 | 1.33 |
| 21:00 | 408 | ფინეთი-სომხეთი | 1.17 | 5.30 | 15.00 | 1.00 | 1.08 | 3.91 |
| 23:00 | 409 | კვიპროსი-გერმანია | 14.00 | 6.50 | 1.13 | 4.43 | 1.04 | 1.00 |
| 23:30 | 410 | ბელგია-პოლონეთი | 2.25 | 3.10 | 3.00 | 1.30 | 1.28 | 1.52 |
| 23:30 | 411 | ირლანდია-სან მარინო | 1.01 | 11.00 | 45.00 | 1.00 | 1.00 | 8.83 |
| 23:45 | 412 | პორტუგალია-ყაზახეთი | 1.05 | 8.50 | 30.00 | 1.00 | 1.01 | 6.62 |

**ჰოკეი**

**შვედეთი**

**14 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 550 | ლინჩიოპინგი-ჰვ 71 | 1.95 | 4.20 | 2.50 | 1.33 | 1.09 | 1.56 |
| 22:00 | 551 | მალმიო-აიკ | 2.00 | 4.20 | 2.45 | 1.35 | 1.10 | 1.54 |
| 22:00 | 552 | ტიმრე-ფერიესტადი | 1.85 | 4.30 | 2.65 | 1.29 | 1.08 | 1.63 |

**ჰოკეი**

**ფინეთი**

**14 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:30 | 568 | ტურკუ-ლუკო | 1.80 | 4.30 | 2.75 | 1.26 | 1.08 | 1.67 |
| 20:30 | 569 | პელიკანსი-ილვესი | 1.80 | 4.30 | 2.75 | 1.26 | 1.08 | 1.67 |

**ჰოკეი**

**ჩეხეთი**

**15 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 581 | ვიტკოვიცე-ბუდეიოვიცე | 2.00 | 4.20 | 2.50 | 1.35 | 1.11 | 1.56 |
| 20:00 | 582 | ზლინი-კარლოვი ვარი | 1.50 | 4.50 | 3.70 | 1.12 | 1.06 | 2.03 |
| 20:30 | 583 | ზნოიმო-სლავია | 2.20 | 4.20 | 2.15 | 1.44 | 1.08 | 1.42 |
| 20:30 | 584 | კლადნო-ტრჟინეცი | 1.85 | 4.10 | 2.60 | 1.27 | 1.08 | 1.59 |
| 20:30 | 585 | ლიტვინოვი-ვსეტინი | 1.35 | 4.60 | 5.20 | 1.04 | 1.07 | 2.44 |
| 20:30 | 586 | პლზენი-სპარტა | 2.25 | 4.20 | 2.10 | 1.46 | 1.08 | 1.39 |
| 21:00 | 587 | პარდუბიცე-ლიბერეცი | 1.80 | 4.20 | 2.80 | 1.25 | 1.09 | 1.67 |

**ჰოკეი**

**გერმანია**

**14 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 612 | აუგსბურგი-კრეფელდი | 2.05 | 4.20 | 2.30 | 1.37 | 1.08 | 1.48 |
| 22:30 | 613 | ინგოლშტადი-აისბარენი | 1.85 | 4.30 | 2.40 | 1.29 | 1.04 | 1.54 |
| 22:30 | 614 | დუისბურგი-მანჰაიმი | 4.00 | 4.40 | 1.50 | 2.09 | 1.09 | 1.11 |
| 22:30 | 615 | ჰამბურგი-ფრანკფურტი | 2.00 | 4.30 | 2.35 | 1.36 | 1.08 | 1.51 |
| 22:30 | 616 | ჰანოვერი-იზერლონი | 1.85 | 4.30 | 2.60 | 1.29 | 1.08 | 1.62 |
| 22:30 | 617 | დიუსელდორფი-სტრაუბინგი | 1.30 | 4.50 | 6.00 | 1.00 | 1.06 | 2.57 |
| 22:30 | 618 | კიოლნი-ნიურნბერგი | 1.75 | 4.30 | 3.00 | 1.24 | 1.10 | 1.76 |

**ჰოკეი**

**შვეიცარია**

**14 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 633 | სერვეტი-ბაზელი | 1.40 | 4.50 | 4.30 | 1.06 | 1.05 | 2.19 |
| 22:45 | 634 | კლოტენი-ლანგნაუ | 1.45 | 4.30 | 3.70 | 1.08 | 1.04 | 1.98 |
| 22:45 | 635 | ცუგი-ბერნი | 2.20 | 4.20 | 2.15 | 1.44 | 1.08 | 1.42 |
| 22:45 | 636 | დავოსი-ციურიხი | 1.70 | 4.30 | 3.00 | 1.21 | 1.08 | 1.76 |
| 22:45 | 637 | ფრიბურგი-რაპერსვილი | 2.20 | 4.20 | 2.15 | 1.44 | 1.08 | 1.42 |
| 23:00 | 638 | ლუგანო-ამბრი | 1.60 | 4.50 | 2.90 | 1.18 | 1.03 | 1.76 |

**ჰოკეი**

**რუსეთი**

**15 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:00 | 651 | დინამო-ცსკა | 2.10 | 4.20 | 2.30 | 1.39 | 1.09 | 1.48 |
| 15:00 | 652 | ლოკომოტივი-ამური | 1.30 | 4.50 | 5.00 | 1.00 | 1.03 | 2.36 |
| 15:00 | 653 | მვდ-ვიტიაზი | 1.65 | 4.40 | 3.10 | 1.20 | 1.07 | 1.81 |
| 15:00 | 654 | სევერსტალი-სიბირი | 2.10 | 4.20 | 2.30 | 1.39 | 1.09 | 1.48 |
| 15:00 | 655 | ასკ-ნოვოკუზნეცკი | 1.65 | 4.50 | 3.20 | 1.20 | 1.08 | 1.87 |
| 15:00 | 656 | ავანგარდი-ლადა | 1.40 | 4.50 | 4.50 | 1.06 | 1.06 | 2.25 |

**16 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:00 | 657 | აკ ბარსი-ტრაქტორი | 1.17 | 5.00 | 6.50 | 1.00 | 1.00 | 2.82 |
| 15:00 | 658 | ნეფტეხიმიკი-მაგნიტოგორსკი | 2.40 | 4.20 | 2.05 | 1.52 | 1.10 | 1.37 |

**სამხრეთ ამერიკის თასი**

**15 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:30 | 424 | ატლეტიკო პრ-პაჩუკა | 1.75 | 3.30 | 4.00 | 1.14 | 1.21 | 1.80 |

**16 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 425 | კოლო კოლო-ტოლუკა | 1.95 | 3.30 | 3.30 | 1.22 | 1.22 | 1.64 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10390 | ავსტრალია-განა ნ | 3.00 | 2.00 | 3.20 | 1.20 | 1.54 | 1.23 |
| 10391 | ესტონეთი-ბელარუსი | 3.15 | 2.00 | 2.95 | 1.22 | 1.52 | 1.19 |
| 10392 | მალტა-ლიტვა | 4.65 | 2.10 | 2.20 | 1.44 | 1.49 | 1.07 |
| 10393 | სლოვაკეთი-ბულგარეთი | 2.70 | 2.00 | 3.60 | 1.14 | 1.54 | 1.28 |
| 10394 | შვედეთი-კოტ დიუარი ნ | 3.10 | 2.00 | 2.95 | 1.21 | 1.51 | 1.19 |
| 10395 | უნგრეთი-კანადა | 2.20 | 2.10 | 5.20 | 1.07 | 1.54 | 1.49 |
| 10396 | ჰოლანდია-ინგლისი | 2.65 | 2.00 | 3.65 | 1.13 | 1.53 | 1.29 |
| 10397 | სერბეთი-ნორვეგია | 2.25 | 2.10 | 4.70 | 1.08 | 1.52 | 1.45 |
| 10398 | ჩეხეთი-დანია | 2.25 | 2.10 | 4.75 | 1.08 | 1.52 | 1.45 |
| 10399 | შვეიცარია-ბრაზილია | 4.75 | 2.10 | 2.30 | 1.45 | 1.54 | 1.09 |
| 10400 | ავსტრია-ტრინიდადი | 2.05 | 2.10 | 5.70 | 1.03 | 1.50 | 1.53 |
| 10401 | იტალია-თურქეთი ნ | 2.25 | 2.10 | 4.75 | 1.08 | 1.52 | 1.45 |
| 10402 | საფრანგეთი-საბერძნეთი | 1.80 | 2.40 | 6.50 | 1.02 | 1.40 | 1.75 |
| 10403 | ესპანეთი-რუმინეთი | 1.85 | 2.20 | 6.50 | 1.00 | 1.44 | 1.64 |
| 10406 | მაკედონია-რუსეთი | 5.30 | 2.10 | 2.20 | 1.50 | 1.55 | 1.07 |
| 10407 | ისრაელი-ხორვატია | 3.30 | 2.00 | 2.80 | 1.24 | 1.51 | 1.16 |
| 10408 | ფინეთი-სომხეთი | 1.32 | 3.20 | 11.00 | 1.00 | 1.17 | 2.47 |
| 10409 | კვიპროსი-გერმანია | 11.00 | 3.20 | 1.30 | 2.47 | 1.16 | 1.00 |
| 10410 | ბელგია-პოლონეთი | 2.75 | 2.00 | 3.65 | 1.15 | 1.56 | 1.29 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11390 | ავსტრალია-განა ნ | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11391 | ესტონეთი-ბელარუსი | 3.90 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11392 | მალტა-ლიტვა | 6.00 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.50 |
| 11393 | სლოვაკეთი-ბულგარეთი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11394 | შვედეთი-კოტ დიუარი ნ | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11395 | უნგრეთი-კანადა | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11396 | ჰოლანდია-ინგლისი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11397 | სერბეთი-ნორვეგია | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11398 | ჩეხეთი-დანია | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11399 | შვეიცარია-ბრაზილია | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.60 |
| 11400 | ავსტრია-ტრინიდადი | 2.10 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11401 | იტალია-თურქეთი ნ | 2.35 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11402 | საფრანგეთი-საბერძნეთი | 1.80 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11403 | ესპანეთი-რუმინეთი | 1.80 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11406 | მაკედონია-რუსეთი | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.40 |
| 11407 | ისრაელი-ხორვატია | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.40 |
| 11410 | ბელგია-პოლონეთი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | მეტ. | ნაკ. |
|---|---|---|---|
| 12390 | ავსტრალია-განა ნ | 1.60 | 2.00 |
| 12391 | ესტონეთი-ბელარუსი | 1.70 | 1.90 |
| 12392 | მალტა-ლიტვა | 1.70 | 1.90 |
| 12393 | სლოვაკეთი-ბულგარეთი | 1.70 | 1.90 |
| 12394 | შვედეთი-კოტ დიუარი ნ | 1.60 | 2.00 |
| 12395 | უნგრეთი-კანადა | 1.70 | 1.90 |
| 12396 | ჰოლანდია-ინგლისი | 1.60 | 2.00 |
| 12397 | სერბეთი-ნორვეგია | 1.60 | 2.00 |
| 12398 | ჩეხეთი-დანია | 1.70 | 1.90 |
| 12399 | შვეიცარია-ბრაზილია | 1.90 | 1.70 |
| 12400 | ავსტრია-ტრინიდადი | 1.60 | 2.00 |
| 12401 | იტალია-თურქეთი ნ | 1.60 | 2.00 |
| 12402 | საფრანგეთი-საბერძნეთი | 1.70 | 1.90 |
| 12403 | ესპანეთი-რუმინეთი | 1.90 | 1.70 |
| 12406 | მაკედონია-რუსეთი | 1.60 | 2.00 |
| 12407 | ისრაელი-ხორვატია | 1.60 | 2.00 |
| 12408 | ფინეთი-სომხეთი | 2.00 | 1.60 |
| 12409 | კვიპროსი-გერმანია | 2.80 | 1.30 |
| 12410 | ბელგია-პოლონეთი | 1.60 | 2.00 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13390 | ავსტრალია-განა ნ | 1.70 | 1.90 |
| 13391 | ესტონეთი-ბელარუსი | 1.70 | 1.90 |
| 13392 | მალტა-ლიტვა | 1.70 | 1.90 |
| 13393 | სლოვაკეთი-ბულგარეთი | 1.70 | 1.90 |
| 13394 | შვედეთი-კოტ დიუარი ნ | 1.70 | 1.90 |
| 13395 | უნგრეთი-კანადა | 1.70 | 1.90 |
| 13396 | ჰოლანდია-ინგლისი | 1.70 | 1.90 |
| 13397 | სერბეთი-ნორვეგია | 1.70 | 1.90 |
| 13398 | ჩეხეთი-დანია | 1.70 | 1.90 |
| 13399 | შვეიცარია-ბრაზილია | 1.70 | 1.90 |
| 13400 | ავსტრია-ტრინიდადი | 1.70 | 1.90 |
| 13401 | იტალია-თურქეთი ნ | 1.70 | 1.90 |
| 13402 | საფრანგეთი-საბერძნეთი | 1.90 | 1.70 |
| 13403 | ესპანეთი-რუმინეთი | 1.90 | 1.70 |
| 13406 | მაკედონია-რუსეთი | 1.70 | 1.90 |
| 13407 | ისრაელი-ხორვატია | 1.70 | 1.90 |
| 13408 | ფინეთი-სომხეთი | 2.10 | 1.55 |
| 13409 | კვიპროსი-გერმანია | 2.40 | 1.40 |
| 13410 | ბელგია-პოლონეთი | 1.70 | 1.90 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14390 | ავსტრალია-განა ნ | 1.85 | 1.95 |
| 14391 | ესტონეთი-ბელარუსი | 1.95 | 1.85 |
| 14392 | მალტა-ლიტვა | 2.40 | 1.45 |
| 14393 | სლოვაკეთი-ბულგარეთი | 1.75 | 2.10 |
| 14394 | შვედეთი-კოტ დიუარი ნ | 1.90 | 1.90 |
| 14395 | უნგრეთი-კანადა | 1.30 | 2.50 |
| 14396 | ჰოლანდია-ინგლისი | 1.75 | 2.10 |
| 14397 | სერბეთი-ნორვეგია | 1.60 | 2.30 |
| 14398 | ჩეხეთი-დანია | 1.60 | 2.30 |
| 14399 | შვეიცარია-ბრაზილია | 2.40 | 1.40 |
| 14400 | ავსტრია-ტრინიდადი | 1.30 | 2.50 |
| 14401 | იტალია-თურქეთი ნ | 1.40 | 2.35 |
| 14402 | საფრანგეთი-საბერძნეთი | 1.20 | 2.60 |
| 14403 | ესპანეთი-რუმინეთი | 1.20 | 2.60 |
| 14406 | მაკედონია-რუსეთი | 2.40 | 1.40 |
| 14407 | ისრაელი-ხორვატია | 2.00 | 1.80 |
| 14410 | ბელგია-პოლონეთი | 1.80 | 2.00 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15390 | ავსტრალია-განა ნ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15391 | ესტონეთი-ბელარუსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15392 | მალტა-ლიტვა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15393 | სლოვაკეთი-ბულგარეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15394 | შვედეთი-კოტ დიუარი ნ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15395 | უნგრეთი-კანადა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15396 | ჰოლანდია-ინგლისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15397 | სერბეთი-ნორვეგია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15398 | ჩეხეთი-დანია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15399 | შვეიცარია-ბრაზილია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15400 | ავსტრია-ტრინიდადი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15401 | იტალია-თურქეთი ნ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15402 | საფრანგეთი-საბერძნეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15403 | ესპანეთი-რუმინეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15406 | მაკედონია-რუსეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15407 | ისრაელი-ხორვატია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15408 | ფინეთი-სომხეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15409 | კვიპროსი-გერმანია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15410 | ბელგია-პოლონეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16390 | ავსტრალია-განა ნ | 1.80 | 1.80 |
| 16391 | ესტონეთი-ბელარუსი | 1.90 | 1.70 |
| 16392 | მალტა-ლიტვა | 3.20 | 1.25 |
| 16393 | სლოვაკეთი-ბულგარეთი | 1.50 | 2.30 |
| 16394 | შვედეთი-კოტ დიუარი ნ | 1.80 | 1.80 |
| 16395 | უნგრეთი-კანადა | 1.25 | 3.35 |
| 16396 | ჰოლანდია-ინგლისი | 1.55 | 2.20 |
| 16397 | სერბეთი-ნორვეგია | 1.25 | 3.20 |
| 16398 | ჩეხეთი-დანია | 1.25 | 3.20 |
| 16399 | შვეიცარია-ბრაზილია | 3.00 | 1.30 |
| 16400 | ავსტრია-ტრინიდადი | 1.15 | 4.00 |
| 16401 | იტალია-თურქეთი ნ | 1.25 | 3.40 |
| 16402 | საფრანგეთი-საბერძნეთი | 1.09 | 4.50 |
| 16403 | ესპანეთი-რუმინეთი | 1.09 | 4.50 |
| 16406 | მაკედონია-რუსეთი | 3.50 | 1.20 |
| 16407 | ისრაელი-ხორვატია | 1.90 | 1.70 |
| 16410 | ბელგია-პოლონეთი | 1.55 | 2.20 |

### გოლი:ლუწი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17390 | ავსტრალია-განა ნ | 1.85 | 1.95 |
| 17391 | ესტონეთი-ბელარუსი | 1.85 | 1.95 |
| 17392 | მალტა-ლიტვა | 1.85 | 1.95 |
| 17393 | სლოვაკეთი-ბულგარეთი | 1.85 | 1.95 |
| 17394 | შვედეთი-კოტ დიუარი ნ | 1.85 | 1.95 |
| 17395 | უნგრეთი-კანადა | 1.85 | 1.95 |
| 17396 | ჰოლანდია-ინგლისი | 1.85 | 1.95 |
| 17397 | სერბეთი-ნორვეგია | 1.85 | 1.95 |
| 17398 | ჩეხეთი-დანია | 1.85 | 1.95 |
| 17399 | შვეიცარია-ბრაზილია | 1.85 | 1.95 |
| 17400 | ავსტრია-ტრინიდადი | 1.85 | 1.95 |
| 17401 | იტალია-თურქეთი ნ | 1.85 | 1.95 |
| 17402 | საფრანგეთი-საბერძნეთი | 1.85 | 1.95 |
| 17403 | ესპანეთი-რუმინეთი | 1.85 | 1.95 |
| 17406 | მაკედონია-რუსეთი | 1.85 | 1.95 |
| 17407 | ისრაელი-ხორვატია | 1.85 | 1.95 |
| 17408 | ფინეთი-სომხეთი | 1.85 | 1.95 |
| 17409 | კვიპროსი-გერმანია | 1.85 | 1.95 |
| 17410 | ბელგია-პოლონეთი | 1.85 | 1.95 |

# ქართული ლეგიონი



მანუჩარ მარკოიშვილი (მარჯვნივ) მრისხანე „პანათინაიკოსს“ ბოლომდე ებრძოდა

## ნაცვლიშვილის სკამი და მოედანი

**ხვავიანი** კვირა გამოდგა ქართველი ლეგიონერებისთვის, რაშიც ლომის წილი ზაზა ფაჩულიამ დაიდო, თუმც არც „ევროპელები“ ყოფილან გულხელდაკრეფილნი და ჩვენც მივყვეთ...

საქართველოს ნაკრების კაპიტანი ვახტანგ ნაცვლიშვილი ცოტას, თუმც სტაბილურად თამაშობდა ფრანგულ „დიჟონში“, გასულ კვირას დაწყებულ ევროთასის მატჩში კი მთელი 24 წუთით იყო მოედანზე. ამ საერთაშორისო ტურნირს წინა სეზონში ფიბა-ევროპის თასი ერქვა და მასში ის გუნდები მონაწილეობდნენ, რომლებიც ევროლიგის დონეს ვერ უტოლდებოდნენ.

ნაცვლიშვილს ამ სეზონში 15 წუთზე მეტი არ უთამაშია, ებრაულ „ნაჰარიასთან“ საევროთასო მატჩში კი, როგორც ვთქვით, მოედანზე ყოფნით გული იჯერა. ამაზე სასიამოვნო კი ისაა, რომ ვატომ ჩინებულად ითამაშა და ებრაელთა ძლევაში თავისიანებს ხელი მხნედ შეაშველა. ქართველი თავდამსხმელის ანგარიშზე 12 ქულა, 7 მოხსნა და 2 პასი დაგროვდა.

მოვიდა შიდაჩემპიონატის მატჩი და ნაცვლიშვილს სათამაშო დრო ისევ შეუკვეცეს. მიუხედავად 10-წუთიანი ბურთაობისა, ვატომ მაინც გამოიჩინა თავი და 7 ქულა მოუხვეჭა „დიჟონს“, რომელმაც საამაყო გამარჯვება მოიპოვა საფრანგეთის ერთ-ერთ ყველაზე ტიტულიან გუნდ „ვილერბანთან“.

აღმავლობის გზაზეა ვლადიმერ ბოისაც, რომელიც სერია A-ში აქამდე მოიკოჭლებდა და უიღბლობას ბოლო ტურში დააღწია თავი. იტალიის ჩემპიონატის წინა ორ მატჩში ვოვამ ქულაც ვერ მოიხვეჭა, გასულ კვირას კი, „სიენა“ „ლივორნოს“ რომ ეთამაშებოდა, 15 წუთში 7 ქულა და 4 მოხსნა მიითვალა.

თუკი სერია A-ში ცოტა არ უმართლებს, ბოისა სამაგალითოა ულების თასზე, სადაც გასულ ტურში „სიენამ“ იერუსალიმის „ჰაპოელთან“ წააგო. 19 წუთში ვოვამ 17 ქულა მოიხვეჭა, თუმც იტალიელებმა ებრაელი ფანების დაწოლას ვერ გაუძლეს და ისრაელიდან ხუთქულიანი მარცხით წამოვიდნენ.

მანუჩარ მარკოიშვილისგან კარგი ამბებია — მანუმ „ოლიმპიას“ ხუთეულში მოიკიდა ფეხი, თუმც „ოლიმპია“ რომ აგებს, ეს მთლად კარგი ამბავი არ უნდა იყოს. ლიუბლიანელებმა გასულ კვირაში ევროლიგაში „პანათინაიკოსთან“ წააგეს, რაც ჩვეულებრივი ამბავია, აი, ადრიატიკის ლიგაში თანამემამულე „ჰელიოსთან“ მარცხი კი გვარიანი სირცხვილია სლოვენიის მარადმწვანე ჩემპიონისთვის.

მარკოიშვილმა ბერძნულ გრანდთან 37 წუთში 12 ქულა გამოჭედა, „ჰელიოსს“ კი 32 წუთში 7 ჩაუგდო, მაგრამ რად გინდა...

გასულ კვირაში ვიქტორ სანიკიძემ „ესტუდიანტესის“ ორივე მატჩში მიიღო მონაწილეობა, თუმც ესპანურ ქულებს გემო ისევ ვერ გაუგო.

ევროთასზე რუმინულ „პლოეშტთან“ „ვიკამ“ 6 წუთი ითამაშა, ისევე როგორც პრიმერადივიზიონში მადრიდის „რეალთან“, მაგრამ ორივე შემთხვევაში მოედანი უქულოდ დატოვა. საინტერესოა, რომ სანიკიძემ უკვე მესამე მატჩი ითამაშა „ესტუდიანტესში“ და სამივეში 6 წუთი იმყოფებოდა მოედანზე.

ბებერ კონტინენტზე მეტი საინტერესო არაფერი მომხდარა, ოკეანგაღმა კი ფაჩულიამ ამბები დაატრიალა, თქვენი მოწონებული. ზაზას საგმირო საქმეებზე დაწვრილებით ვწერდით გასულ კვირაში და ახლა სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ერთს კი ვიტყვით, რომ ზაზა ფაჩულია საამაყო მოთამაშეა არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მთელი საკალათბურთო ჯორჯიისთვის. „ატლანტამ“ სეზონი რიხით რომ დაიწყო და აღმოსავლეთ კონფერენციაში ლიდერთაგანია, ძირითადად ფაჩულიასი და კიდევ 2-3 ატლანტელის დამსახურებაა.

**ირაკლი პერტაია**

| სახელი გვარი | გუნდი | ტურნირი | მეტოქე | სად | ანგარიში | წთ | ქ | მ | პ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გიორგი ცინცაძე | როკი | ესტონეთის ჩემპიონატი | ბკ კალევი | ს | 78:57 | 21 | 7 | 4 | 4 |
| მანუჩარ მარკოიშვილი | ოლიმპია | ევროლიგა | პანათინაიკოსი | შ | 65:86 | 37 | 12 | 4 | 1 |
| | | ადრიატიკის ლიგა | ჰელიოსი | ს | 69:73 | 32 | 7 | 4 | 0 |
| ვლადიმერ ბოისა | სიენა | სერია A | ლივორნო | შ | 101:76 | 15 | 7 | 4 | 1 |
| | | ულების თასი | ჰაპოელი | ს | 80:85 | 19 | 17 | 4 | 0 |
| ვახტანგ ნაცვლიშვილი | დიჟონი | ევროთასი | ნაჰარია | შ | 85:68 | 24 | 12 | 7 | 2 |
| | | საფრანგეთის ჩემპიონატი | ვილერბანი | შ | 86:69 | 10 | 7 | 1 | 0 |
| ვიქტორ სანიკიძე | ესტუდიანტესი | ევროთასი | პლოეშტი | ს | 97:89 | 6 | 0 | 0 | 0 |
| | | ესპანეთის ჩემპიონატი | რეალი | ს | 86:69 | 6 | 0 | 1 | 0 |
| ლევან შენგელია | აკადემია | ლიტვის I ლიგა | ანიკსიუ | ს | 80:75 | 12 | 0 | 2 | 0 |
| ტატო ვაშაკიძე | ნევეჟისი | ბალტიის ლიგა | პანევეჟისი | შ | 89:72 | 2 | 0 | 2 | 0 |
| ზაზა ფაჩულია | ატლანტა | NBA რეგ. ჩემპ. | კლივლენდი | ს | 104:95 | 35 | 19 | 4 | 1 |
| | | | ტორონტო | ს | 111:102 | 30 | 9 | 5 | 2 |
| | | | სიეტლი | შ | 112:113 | 44 | 21 | 8 | 2 |

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; ს — სტუმრად; შ — შინ; ნ — ნეიტრალური

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# კიდევ კიდი

## მინგა დევშაკი დაარჩია

12 ნოემბერი

**ვაშინგტონი 93:105 ნიუ ჯერსი**

*ძირითადი დრო 87:87*

**ვაშინგტონი:** არენასი (25), ბატლერი (17 ქულა, 12 მოხსნა)

**ნიუ ჯერსი:** კარტერი (34), კრსტიჩი (18 ქულა, (10 მოხსნა), კიდი (15 ქულა, 18 პასი, 11 მოხსნა)

**მაიამი 72:94 ჰიუსტონი**

**მაიამი:** ვეიდი (24), ონილი (15 ქულა, 10 მოხსნა)

**ჰიუსტონი:** მინი (34 ქულა, 14 მოხსნა), მაკგრეიდი (12)

**კლიპერსი 92:76 ნიუ ორლეანი**

**კლიპერსი:** ბრენდი (22 ქულა, 10 მოხსნა), მეჯიტი (14), კასელი (13)

**ნიუ ორლეანი:** პოლი (20), ჯეკსონი (12)

**შალრლოტი 101:108 დენვერი**

**შარლოტი:** ოკაფორი (22 ქულა, 15 მოხსნა), ნაითი (21), ვოლესი (20)

**დენვერი:** ენტონი (36), მილერი (17 ქულა, 11 პასი), სმიტი (17)

**საკრამეტო 107:92 ტორონტო**

**საკრამენტო:** მარტინი (26), არტესტი (23 ქულა, 10 მოხსნა), ბიბი (21)

**ტორონტო:** ბოში (19), პიტერსონი (18)

**პორტლენდი 96:103 დალასი**

**პორტლენდი:** ჯეკი (20 ქულა, 10 პასი), რენდოლფი (20)

**დალასი:** ნოვიცკი (26 ქულა, 10 მოხსნა), ტერი (20), სტეკჰაუსი (16)

**ლეიკერსი 91:81 მემფისი**

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (21), ოდომი (20 ქულა, 16 მოხსნა, 7 პასი)

**მემფისი:** მილერი (21 ქულა, 13 მოხსნა), სტუდემაიერი (16)

**კვირადღის** თამაშებიდან ყველაზე დაძაბული გამოდგა ორი აღმოსავლელი ზესაშუალოს — „ვაშინგტონისა“ და „ნიუ ჯერსის“ შეხვედრა. „ვაშინგტონს“ კარგი შანსი ჰქონდა, შინ ზედიზედ მეოთხე შეხვედრაც მოეგო და 1974 წლის მიღწევა გაემეორებინა, თანაც კონფერენციის ცხრილის თავში „ატლანტასა“ და „კლივლენდს“ ჩაეზიარებოდა, მაგრამ „ნიუ ჯერსიმ“ ბოლოსკენ გამოსტაცა ხელიდან გამარჯვება.

მატჩი გადასარევად ჩაატარა ნიუჯერსელმა ვინს კარტერმა, ვეტერანმა ჯეისონ კიდმა კი — კიდევ უკეთესად. კიდს წინა სეზონი არცთუ საუკეთესო გამოუვიდა. ჩანს, ასაკი თავისას უშვრება. იგი უკვე 33 წლისაა, თუმც წლეულს მაინც ვარსკვლავობს და ლიდერობს თავის გუნდში. „ვაშინგტონთანაც“ 15 ქულას 18 პასი (!) და 11 მოხსნაც მიამატა და საშემოდგომო ხუთ თამაშში მეორედ შეასრულა სამმაგი დუბლი, ხოლო 12-წლიან კარიერაში — 77-ედ. ერთი სამმაგიც და კიდი ცხონებულ უილტ ჩემბერლენს დაეწევა, რომელიც ტრიპ-დაბლების საქმეში ნბა-ს ისტორიაში მესამეა.

კიდმა მეპასეებშიც წაიწია წინ, ლიგის ყველა დროის უყოჩაღეს მეპასეთა სიაში მეშვიდეადგილოსანი როდ სტრიკლენდი ერთი საფეხურით დააქვეითა.

„ნიუ ჯერსი“ კი მარცხისგან კიდის პასების გარდა, კარტერის ქულებმაც იხსნა. აღსანიშნავია მეოთხე მეოთხედის ბოლო წამებზე ჩაგდებული კარტერის სამიანი, რომელმაც ანგარიში გაათანაბრა (87:87) და შეხვედრა დამატებით დროში გადაიყვანა, იქ კი სტუმრებმა შანსი არ დაუტოვს დედაქალაქელებს.

„ნიუ ჯერსიმ“ ხუთი შეხვედრიდან მესამე მოიგო. ის ორივე მარცხი კი სწორედ იმ „მაიამის“ სინდისზეა, რომელმაც ჯერსელები ამ გაზაფხულს პლეი ოფის მეორე წრიდან გამოისტუმრა. „მაიამი“ მერე ჩემპიონიც გახდა, მაგრამ ამ შემოდგომას ნაღდად ვერ შეეგება საჩემპიონო რიხით. აგერ, „ჰიუსტონთანაც“ შეირცხვინა თავი საკუთარი ქომაგების თვალწინ, რომელთაც ჯერ „ჩიკაგოსთან“ 44-ქულიანი წაგებაც ვერ ამოუშლიათ გულიდან. ჰიუსტონელმა იაო მინმა პირწმინდად დაჩაგრა შაკილ ონილი, პირადი დუელი 34:16 მოუგო, ამ 34 ქულიდან კი 20 მეორე ტაიმში ჩააგდო, რომელიც 25 ქულით მოაგებინა თავის გუნდს.

**კოტე ყორშია**





ჯეისონ კიდი პასებს ოთხხელშუაც აკეთებს



[illegible] ფოტო

შესაძლოა, არსენ კასაბიევი ოპერაციას გადაურჩეს

# კარგი ამბავი პოლონეთიდან

## ქართული შტანგა ჟანგს იშორებს

ძალოსანთა ოლიმპიური იმედის არსენ კასაბიევის ტრავმასა და ლამის გარდაუვალ ოპერაციაზე ბოლო დროს რამდენჯერმე დავწერეთ. გუშინ პოლონეთიდან მორიგი სიახლე შევიტყვეთ. პროფესორ იანუშ პოდგურსკისთან შეხვედრიდან გამოსულ საქართველოს ნაკრების თავკაც *ვანო გრიქუროვს* ხმაზე ეტყობოდა, რომ დამაიმედებელი პასუხი მიეღო

— ლამის ორკვირიანი ლოდინის შემდეგ პროფესორმა პოდგურსკიმ როგორც იქნა, ჩვენთვისაც მოიცალა და დასკვნითი კონსულტაციაც შედგა. ძიროფესიანმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ ამ ეტაპზე ოპერაცია აუცილებელი არ არის. ის კი არა, პროფესორმა გვირჩია, სრული დატვირთვით გავაგრძელოთ ვარჯიშები.

— კი მაგრამ, ტკივილები აღარ აწუხებს?

— ეს ისეთი ტრავმაა, ვარჯიშში ხელს არ უშლის, მაგრამ დიდ სიმძიმეებთან შეჭიდებისას შეიძლება, ცუდად იჩინოს თავი. პოდგურსკიმ გვირჩია, გავრისკოთ და თუ ტკივილები შეაწუხებს, ოპერაციაც მხოლოდ მერე გაკეთდეს.

— უკვე დაიწყო ვარჯიში?

— რა თქმა უნდა. ჯერ ყველაფერი რიგზეა. იმედია, არსენი ოპტიმალურ ფორმამდე ისე მიაღწევს, ქირურგიული ჩარევა არ დასჭირდება, მაგრამ თუ უამისოდ ვერ გამოვედით, მაშინ სწორედ პოდგურსკი გააკეთებს ოპერაციას.

— პოლონეთში რამდენ ხანს დარჩებით?

— სავარაუდოდ წლის ბოლომდე. ჯობს, აქვე ვივარჯიშოთ. ექიმთანაც ახლოს ვართ და თუ მისი დახმარება დაგვჭირდა, ისევ მივაკითხავთ.

— გიორგი ასანიძემ გვითხრა, რომ აქტიურ სპორტს უბრუნდება...

— ჩვენი პოლონეთში დარჩენის ერთ-ერთი მიზეზი ესეცაა. გიორგი საქართველოში უაღრესად დატვირთული ცხოვრება აქვს და ძალიან გაუჭირდება რეჟიმში ჩადგომა. აქ კი მხოლოდ ვარჯიშზე იფიქრებს და გაცილებით მეტი შანსიც ექნება, ძველი ფორმა რომ დაიბრუნოს. გიორგი ასანიძე ქართულ ძალოსნობას კიდევ გამოადგება.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# ერევანი დროში დაგვშორდა

## ფული არ არის, ფული იქნება

ქართველ მოკრივეებს სეზონის დამასრულებელი საერთაშორისო ტურნირი ორი კვირით გადაედოთ. დავით ცერცვაძის შეგირდები ერევნულ რინგზე 22 ნოემბრის ნაცვლად 6 დეკემბერს ავლენ. ინფორმაცია საქართველოს ნაკრების უფროსმა თამაზ ქართველიშვილმა მოგვაწოდა, როცა სომხეთში წასაყვანი შემადგენლობის დასაზუსტებლად შევეხმიანეთ. აქვე გეტყვით, რომ ნაკრებს ამ დღეებში წინასატურნირო შეკრებაც უნდა დაეწყო

— სამწუხაროდ, ჯერ არც შემადგენლობის დაკონკრეტება შემიძლია და არც იმის, თუ როდის შეიკრიბება გუნდი — გვითხრა *თამაზ ქართველიშვილმა* — ტურნირი გადაიდო და ამ საკითხების მოსაგვარებლად მეტი დრო დაგვრჩება.

— ის მაინც თუა ცნობილი, რამდენკაციანი ნაკრები გაემგზავრება სომხეთში?

— ესეც უახლოეს მომავალში გაირკვევა. ადვილი მისახვედრია, პრობლემა ფინანსებში მდგომარეობს. შარშანდელი ბიუჯეტი მთლიანად ამოწურულია და საამტურნიროდ სპონსორების იმედადღა ვრჩებით. მოგეხსენებათ, კრივის ფედერაციაში ახალი ხელმძღვანელობა თვეების წინ მოვიდა. ამ დროს 2006 წლის ბიუჯეტი უკვე შედგენილი იყო. პრობლემას როგორმე მოვაგვარებთ. მომავალი სეზონიდან კი ყველაფერი გამოსწორდება.

— არის საშიშროება, რომ წინასაერევნო შეკრება და ტურნირზე გუნდის გამგზავრება ვერ მოხერხდეს?

— არა მგონია. უახლოეს დღეებში ფედერაციის პრეზიდენტ პეტრე ცისკარიშვილთან ერთად შევიკრიბებით და, დარწმუნებული ვარ, ქართული კრივისთვის საჭირო გადაწყვეტილებას მივიღებთ.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# ვაკიდან დიდუბემდე

## 10 კილომეტრი და 3600 დოლარი

**სეულის** ოლიმპიური თამაშების პრიზიორის, მძლეოსან მაია აზარაშვილის სახელობის საერთაშორისო კროსი, რომელიც ტრადიციულად ბორჯომში შემოდგომობით ეწყობოდა, წლეულს არჩევნების გამო დათქმულ დროს ვეღარ გაიმართა. ბოლოს, როგორც ვიუწყებოდით, ეს შეჯიბრება თბილისში გადმოიტანეს და იგი 19 ნოემბერს ჩატარდება.

მისი მონაწილენი ამჯერად ბუნების წიაღში კი არა, მოასფალტებულ გზებზე ირბენენ. როგორც თავად მაია აზარაშვილმა გვითხრა, ამ შეჯიბრების ამგვარად გარდასახვისა და თბილისში გადმოტანის ინიციატორი „საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიაა", რომელიც დღემდე ჩატარებული ყველა ღონისძიების მთავარ სპონსორად გვევლინებოდა და ახლაც, მეხუთედაც ასეთ ხელშემწყობად რჩება. მას ამჯერად მხარში უდგანან ვაკის აუზი და ეროვნული სტადიონი, რომელთა ტერიტორიაზეც შეჯიბრების სტარტი და ფინიში მოეწყობა.

წლევანდელ გარბენში მონაწილეობას მიიღებენ ავსტრიის, აზერბაიჯანის, ბელგიის, გერმანიის, ეთიოპიის, თურქეთის, ინგლისის, ისრაელის, მაროკოს, სომხეთის, უკრაინის, ჰოლანდიისა და რაღა თქმა უნდა, საქართველოს მძლეოსნები. სტარტზე 25-25 ქალ-ვაჟი გამოვა. ისინი სტარტს სპორტის დეპარტამენტისა და ვაკის საცურაო აუზის მიმდებარე ტერიტორიიდან აიღებენ, უკან მოიტოვებენ ვაკეს, რუსთაველის პროსპექტს, მერე ბარათაშვილის ხიდსაც გადაირბენენ და მტკვრის მარცხენა სანაპიროდან ეროვნული სტადიონისკენ აუყვებიან, ფინიშიც იქვე მოეწყობა, 10-კილომეტრიანი დისტანციის დაფარვას კი დაახლოებით 30 წუთს მოანდომებენ.

გამარჯვებულთ პრიზად 1000-1000 დოლარიც ელით, რაც პირველ შეჯიბრებასთან შედარებით ორჯერ მეტია. ხელცარიელი არც მეორე და მესამე პრიზიორები დარჩებიან, რომლებიც, შესაბამისად, 500-500 და 300-300 დოლარს მიიღებენ.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

# ასიანი ასაფა და სანია

## მძლეოსნებმა ჭიჭილები დაითვალეს

**კვირას** მონტე კარლოში დიდი სამძლეოსნო საზოგადოება შეიყარა, ოღონდ არა სტადიონზე, არამედ ფეშენებელური სასტუმროს დარბაზში. მძლეოსნობის ფედერაციათა საერთაშორისო ასოციაციამ (IAAF) კაცებსა და ქალებში სეზონის საუკეთესო ათლეტები დაასახელა და იააფ-ის პრეზიდენტ ლამინ დიაკთან ერთად მონაკოს მთავარმა ალბერმაც საზეიმო ვითარებაში დააჯილდოვა ისინი — იამაიკელი 100-მეტროსანი ასაფა პაუელი და ამერიკელი 400-მეტროსანი სანია რიჩარდსი.



AFP მონტე კარლოდან

მონაკოს მთავარმა ალბერმა სანია რიჩარდსისა და ასაფა პაუელის გვერდით მოიწონა თავი

პაუელის პირველობა და გამორჩეულობა ეჭვს არც იწვევდა. იამაიკელი სპრინტერის ამ განვლილ სეზონს ყველაზე მეტად ერთი ზედსართავი სახელი მიესადაგება — „ზღაპრული". მართალია, ასაფას წლეულს აღარ გაუუმჯობესებია შარშან 100 მეტრზე დამყარებული საკუთარი მსოფლიოს რეკორდი — 9,77 წამი, მაგრამ ორჯერ გაიმეორა ეს სულისშემხუთავი დრო, თანაც წლეულს გაცილებით სტაბილური იყო და სხვათათვის მიუწვდომელ დროშედეგებს სისტემატური ხასიათი მისცა — არც მეტი არც ნაკლები, 12-ჯერ ჩაეტია 10 წამში და ამ მხრივაც დაისაკუთრა ერთგვარი მსოფლიოს რეკორდი.

„ამ პრიზის მოგება შარშანაც მინდოდა, მაგრამ ტრავმამ შემიშალა ხელი — წარმოთქვა პაუელმა საზეიმოდ — წლეულს თავდაუზოგავად ვშრომობდი და მადლობელი ვარ ყველასი, ვინც ეს შეამჩნია. მომავალ წელს კიდევ მეტს ვიშრომებ და დიდი იმედი მაქვს, მსოფლიოს ჩემპიონატზეც გავიმარჯვებ."

ქალებში გამორჩეულ სანია რიჩარდსს ისეთი ფენომენალური შედეგები არ ჰქონია, ამიტომ მან მეტი სიხარულით მოიხადა მადლობა: „ძალიან დიდი მადლობა ყველას!.. სეზონი მართლაც კარგი მქონდა. ეს ჯილდო კი გაცილებით გემრიელია, ვიდრე კარგი ჭამის შემდეგ დესერტი."

რიჩარდსმა წლეულს პრაქტიკულად ყველა ტურნირი მოიგო, რომელშიც ირბინა, ზედიზედ 15 გამარჯვება ჩაიწერა. ეგაა, რეკორდები არ შეუწუხებია. მისი საუკეთესო დრო 48,70 წამი იყო, რაც შტატებში იქნებ საუკეთესოცაა, მაგრამ ყველა დროის შედეგებში მხოლოდ მეშვიდეა. რიჩარდსს ამ პრიზში იამაიკელი სპრინტერი შერონ სიმპსონი და ეთიოპიელი სტაიერი მესერეტ დეფარი ეცილებოდნენ. რაც შეეხება პაუელს, მის მთავარ კონკურენტებად ლიტველი ბადროს მტყორცნელი ვირგილიუს ალეკნა და ჩინელი 110 მეტრზე თარჯიმირბენალი ლიუ სიანი ითვლებოდნენ.

**კოტე ყორშია**

# როგორ ცხელა მონტე კარლოში




ვილფრედ ჩესერეკმა მონტე კარლოს მარათონი მოიგო

**კვირასვე** მონტე კარლოში გაიმართა ტრადიციული მარათონი, რომლის ფინიშს იქითაც აგრეთვე მონაკოს მთავარი ალბერი იდგა. იგი ნამარათონევს წლის საუკეთესო მძლეოსანთა გალა-დაჯილდოვებაზე გაემართა, მანამდე კი მისმა უდიდებულესობამ მარათონში გამარჯვებულებს, კენიელ ვილფრედ ჩესერეკს და შვედ ლენა გაველინს გადასცა პრიზები.

მარათონი ცოტა მძიმე და ნელი გამოვიდა, ნარბენი სტაიერები ფინიშს აქეთ ჩიოდნენ, ძალიან ცხელოდა(!) და გზაც არ იყო ლარივით სწორი, ბევრი გორაკი გადავირბინეთო. ამ მიზეზთა გამო გამარჯვებულის დრო არცთუ განმანცვიფრებელია — ჩესერიკმა 42 კილომეტრი 2 საათში, 17 წუთსა და 21 წამში დაფარა, რაც სხვა, ვარსკვლავებით მეტად მოოჭვილ გარბენში იქნებ მე-10 და იქნებ მე-100 შედეგიც ვერ ყოფილიყო. ასე იყო, თუ ისე, კენიელმა იმარჯვა და რბენის განმავლობაში უმთავრეს კონკურენტად ქცეულ რუს ანდრეი ბრიზგალოვს 29 წამით აჯობა. პირველ ადგილოსანს მთელი წუთნახევრით ჩამორჩა მისი თანამემამულე და მესამე ადგილზე გასული ჯეიკობ კიტური.

ქალებში გამარჯვებულ შვედ ლენა გაველინს 42 კილომეტრის გასარბენად 2 საათი, 39 წუთი და 28 წამი დასჭირდა. მას მიჰყვნენ უკრაინელი ოლენა სანკო (2:41.26) და პოლონელი კრისტინა კუტა (2:45.38).

**კოტე ყორშია**

## მასტერსის თასი. შანხაი
ჰარდი (დარბაზი). საპრიზო 4 500 000 $

**ოქროს ჯგუფი**

ჯეიმს ბლეიკი (8, აშშ) — რაფაელ ნადალი (2, ესპანეთი) 3:6 6:1 6:1
ნიკოლაი დავიდენკო (4, რუსეთი) — ტომი რობრედო (7, ესპანეთი) 7:6 3:6 6:1

AFP შანხაიდან



ჯეიმს ბლეიკი ერთადერთია, ვინც რაფაელ ნადალთან არ დამარცხებულა

# ბლეიკმა ნადალი დაღლა

**შანხაიში** მიმდინარე მასტერსის თასის მეორე სათამაშო დღე მეტად უიღბლო გამოდგა ესპანელებისთვის — ოქროს ჯგუფში ორივე პირინეელმა წააგო და ნახევარფინალში გასვლის შანსებიც შეიმცირა.

მოულოდნელი ნომერ პირველი ესპანელის, რაფაელ ნადალის მარცხი იყო, რომელიც თავის თავს არ ჰგავდა. თანაც მალიორკელმა ვარსკვლავბიჭუნამ ჩინეთში ბოლო, მერვე ნომერ და წლის შემაჯამებელ ტურნირზე პირველად მოთამაშე ჯეიმს ბლეიკთან წააგო — შავტუხა ამერიკელს დიდებული სეზონი კი ჰქონდა, მაგრამ ბოლო თვეებში ამაზრზენად გამოიყურებოდა და ჩინეთშიც სასწაულით მოხვდა.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ ბლეიკი ნადალისთვის ყველაზე უხერხულ მეტოქედ ითვლება — ამერიკელი ერთადერთი ტოპმჩოგნეა, ვისთანაც 20 წლის ესპანელს უარყოფითი ბალანსი აქვს. მეტიც, ნადალს ჯერაც არ დაუმარცხებია ბლეიკი, მაშინ როცა ამერიკელმა უკვე მესამედ დასცა პირინეელი.

არადა, ნადალს ფაქტობრივად თამაში მიჰყავდა, მაგრამ ბლომად შანსები გაუშვა ხელიდან — შეხვედრის პირველი ბრეიკი ესპანელმა გააკეთა, როცა 4:3 დაწინაურდა, მაგრამ შემდეგ სამი გეიმი ზედიზედ დათმო და ბლეიკმა სეტიც მოიგო.

მეორე სეტში რაფამ თითქოს თამაში სათავისოდ შემოატრიალა, როცა საწყის 4 გეიმში ბლეიკს ორად ორი გათამაშება მოაგებინა. აი, მერე რა მოხდა, ძნელი ასახსნელია — ნადალმა თითქოს დაიძინა და ანგარიში გათანაბრდა.

ესპანელს თამაშის გადარჩენის კიდევ ერთი შანსი მიეცა, როცა მორიგი ბრეიკი გააკეთა და 5:4 დაწინაურდა, მაგრამ... ამერიკელი ამ ორმოდანაც ამოძვრა და საქმე ტაიბრეიკამდე მიიყვანა, სადაც პირწმინდად დაჩაგრა ახალგაზრდა მეტოქე.

ამ მატჩის შემდეგ ნათელი გახდა, რომ ჩოგბურთის მოყვარულთა უდიდესი ნაწილის ოცნებას, იხილოს ფედერერ-ნადალის ფინალი, ალბათ ასრულება არ უწერია — ჯერ ერთი, ესპანელი ჯგუფიდან საერთოდ თუ გავიდა, ეს მეორე ადგილით მოხდება. მეორეც, საეჭვოა, შვეიცარიელმა თავის ჯგუფში პირველობა ვინმეს დაუთმოს, რის გამოც თანამედროვეობის ორი საუკეთესო ჩოგნის მქნეველი ერთმანეთს მხოლოდ ნახევარფინალში თუ დაეტაკება.

დღის მეორე შეხვედრაში კი ტომი რობრედო ბევრს ეომა ნიკოლაი დავიდენკოს, მაგრამ თავისთვის სასარგებლოს ვერაფერს გამორჩა. ნადალ-ბლეიკის შეხვედრის დარად აქაც ესპანელის მიერ შანსების გამოუყენებლობაზე შეგვიძლია ვილაპარაკოთ — რობრედომ პირველი ორი სეტი ბრეიკებით დაიწყო და დაწინაურდა კიდეც, თუმც მხოლოდ მეორე პარტიაში გამოიყენა თავისი უპირატესობა. ეგ კი არა, მესამე სეტის დასაწყისშიც რუსს მოწოდება კინაღამ აართვა, მაგრამ კოლიამ ყველა რეზერვი აამუშავა და ესპანელი სტატისტის როლში დატოვა.

**კახა ლომაშვილი**

# ქალები

## 2006 წლის საბოლოო მდგომარეობა

**განთესვის რეიტინგი**

| | |
|---|---|
| 1. ჟუსტინ ენინ-არდენი (ბელგია) | 3998 |
| 2. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 3532 |
| 3. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 3391 |
| 4. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 2523 |
| 5. კიმ კლაისტერსი (ბელგია) | 2215 |
| 6. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 2189 |
| 7. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 2018 |
| 8. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 1875 |
| 9. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1578 |
| 10. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 1391 |
| 11. დინარა საფინა (რუსეთი) | 1390 |
| 12. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 1211 |
| 13. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 1144 |
| 14. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 1053 |
| 15. ფრანჩესკა შიავონე (იტალია) | 1032 |
| 16. ანასტასია მისკინა (რუსეთი) | 1000 |
| 17. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 988 |
| 18. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 986 |
| 19. ანა-ლენა გრონეფელდი (გერმანია) | 922 |
| 20. შაჰარ პირი (ისრაელი) | 894 |

**საჩემპიონო რბოლა**

| | |
|---|---|
| 1. ჟუსტინ ენინ-არდენი (ბელგია) | 3998 |
| 2. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 3532 |
| 3. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 3391 |
| 4. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 2798 |
| 5. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 2238 |
| 6. კიმ კლაისტერსი (ბელგია) | 2215 |
| 7. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 2056 |
| 8. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 2016 |
| 9. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1704 |
| 10. დინარა საფინა (რუსეთი) | 1442 |
| 11. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 1393 |
| 12. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 1290 |
| 13. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 1149 |
| 14. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 1066 |
| 15. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 1055 |
| 16. ფრანჩესკა შიავონე (იტალია) | 1053 |
| 17. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 1052 |
| 18. ანასტასია მისკინა (რუსეთი) | 1001 |
| 19. ანა-ლენა გრონეფელდი (გერმანია) | 932 |
| 20. შაჰარ პირი (ისრაელი) | 913 |

**ფულადი მონაგარი**

| | |
|---|---|
| 1. ჟუსტინ ენინ-არდენი (ბელგია) | 4204810 |
| 2. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 3799501 |
| 3. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 3469727 |
| 4. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 2018304 |
| 5. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 1559514 |
| 6. კიმ კლაისტერსი (ბელგია) | 1463492 |
| 7. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 1429005 |
| 8. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 1159537 |
| 9. სამანტა სტოსური (ავსტრალია) | 982257 |
| 10. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 883685 |
| 11. დინარა საფინა (რუსეთი) | 855106 |
| 12. ლიზა რაიმონდი (აშშ) | 798555 |
| 13. ჟი ჟენგი (ჩინეთი) | 794021 |
| 14. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 746144 |
| 15. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 737913 |
| 16. ფრანჩესკა შიავონე (იტალია) | 730634 |
| 17. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 710720 |
| 18. ვერა ზვონარევა (რუსეთი) | 683190 |
| 19. კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) | 672616 |
| 20. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 671616 |

# სარეიტინგო ადი-ჩადი

**მადრიდში** წლის შემაჯამებელი ტურნირი, **WTA**-ტურის არაოფიციალური ჩემპიონატი დასრულდა და გუშინ წლის საბოლოო რეიტინგებიც გამოქვეყნდა. საბოლოო, რომ ვამბობთ, საჩემპიონო რბოლასა და განთესვის რეიტინგის მოწინავეებს ვგულისხმობთ, რადგანაც **WTA**-ს ეგიდით წელს მეტი შეჯიბრი აღარ გაიმართება, ხოლო **ITF**-ის ეგიდით კიდევ ბევრი ტურნირია ჩასატარებელი და ისინი, ვინც ელიტაში მოხვედრას, ან ამ ელიტასთან მიახლოებას ცდილობენ, კიდევ გაიქნევენ ჩოგანს.

ქართველები სწორედ ამ უკანასკნელთა შორის არიან და მათი განთესვის რეიტინგები, სავარაუდოდ, წლის ბოლომდე არაერთხელ შეიცვლება. ახალ კლასიფიკაციაში კი ჩვენებურების პოზიციებს რაიმე განსაკუთრებული რყევა არ განუცდიათ.

ქართველ ქალთაგან საუკეთესომ მაკა ჩახნაშვილმა 179,5 სარეიტინგო ქულით ორი საფეხურით დაბლა, 153-ე ადგილზე ჩაინაცვლა. ერთი პოზიცია დაკარგა და 76,75 ქულით ზუსტად მესამესეა ანა ტატიშვილი, ხოლო სოფო მელიქიშვილმა ჩახნაშვილის დარად ორი ნაბიჯით უკან დაიხია და 67 ქულით 322-ე ადგილზე მოიკალათა.

ერთადერთი ქართველი, რომელმაც ბოლო რეიტინგში პროგრესი განიცადა, სალომე დევიძეა, რომელმაც 20 პოზიცია მოიგო და 24,25 ქულით 554-ეზე აიწია. სოფო შაფათავა და ეკა გორგოძე სადაც იყვნენ, იქვე დარჩნენ — სოფო 15,25 ქულით 689-ეა, ხოლო ეკა 12 ქულით — 759-ე. ათასეულში მყოფმა კიდევ ერთმა ქართველმა მანანა შაფაქიძემ, ვისაც 8,25 ქულა აქვს, ჩახნაშვილმა და მელიქიშვილის არ იყოს, ორი საფეხურით დაბლა, 883-ე ადგილზე ჩაინაცვლა.

ათასეულს მიღმა კი კიდევ ორი ჩვენებურია — თეონა ცერცვაძემ 7 პოზიცია დაკარგა და 5,25 ქულით 1096-ე საფეხურზე ჩაიწია, ხოლო მარიამ ქურდაძე თავისი 2,75 ქულით ძველზე ერთი დაბლა, 1340-ე ადგილზეა.

**ოთარ მხეიძე**

# ბადეში და ბადის გარეთ




**საჩოგბურთო** სეზონი ელიტისთვის გასრულდა, თორემ ჩელენჯერებისა და **ITF**-ის ტურნირების დონეზე კვლავაც გრძელდება და ამ კვირაში ერთბაშად ხუთი ჩვენებური თამაშობს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. უფრო ზუსტნი რომ ვიყოთ, ამ ხუთიდან ერთმა, კერძოდ კი, ლადო ჩიხლაძემ უკვე დაასრულა ასპარეზობა და ამის მიზეზი, სამწუხაროა, მაგრამ ტრავმა აღმოჩნდა.

ლადო ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკის 50 ათასი დოლარი საპრიზო ფონდის მქონე ჩელენჯერის ძირითად ბადეში მოხვედრას კვალიფიკაციიდან ცდილობდა და პირველ წრეში 7:5 6:2 მოუგო კიდეც კორტის მასპინძელ ლაური კიისკის, მაგრამ მერე, დანიელ ფრედერიკ ნილსენთან შეხვედრის პირველ სეტში, როდესაც 2:3-ს აგებდა, ტრავმა მიიღო და თამაში შეწყვიტა.

საქართველოს სადევისთასო ნაკრებში ჩიხლაძის უფროსი თანაგუნდელი ირაკლი ლაბაძე უფრო მაღალრეიტინგიან და დიდფულიან, დნეპროპეტროვსკის 125 ათასიან ჩელენჯერში თამაშობს. ლაბაძე უკრაინული ტურნირის ძირითად ბადეშია და პირველ წრეში მეორე ნომრად განთესილ იტალიელს, მსოფლიოს 38-ე ჩოგანს ფილიპო ვოლანდრის შეხვდება.

საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელი ქალი მაკა ჩახნაშვილი საფრანგეთის ქალაქ დიუვალშია, რომლის თიხნარზეც **ITF**-ის 50 ათასიანი შეჯიბრი ტარდება. მაკა ძირითად ბადეშია, თუმცალა, რადგანაც დიუვალში პირველი ასეულის ოთხი მოთამაშის თამადობით საკმაოდ ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი, განთესილთა შორის ვერ მოხვდა.

კიდევ ორი ქართველი კი - სოფო მელიქიშვილი და სალომე დევიძე ამერიკული ლოურენსვილის ჰარდზე თამაშობს. იქ **ITF**-ის ეგიდით ასევე 50 ათასიანი შეჯიბრი ტარდება და ჩვენებურები კვალიფიკაციიდან შეეცდებიან ძირითად ბადეში მოხვედრას.

ველორბოლა





ივან ბასო „დისქავერიში“ გადავიდა, იან ულრიხი კი კვლავაც უგუნდოდ და უგუნებოდაა

# ამერიკა ბასომაც აღმოაჩინა

## ულრიხის ბრძოლა სიცოცხლისთვის ბრძოლაა

**იტალიელი** ველოსიპედისტის, წლევანდელი „ჯირო დიტალიას“ გამარჯვებულის, ივან ბასოს სადოპინგო საგა, რომელიც წლევანდელივე „ტურ დე ფრანსის“ დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე დაიწყო, როგორც იქნა დასრულდა და თანამედროვეობის ერთ-ერთმა უძლიერესმა მრბოლმა ამერიკულ ველოგუნდ „დისქავერისთან“ გააფორმა სამწლიანი და ექვსმილიონდოლარიანი კონტრაქტი.

მას შემდეგ, რაც ესპანელმა სამართალდამცავებმა განაცხადეს, რომ ბასო არანაირ კავშირში არ ყოფილა სკანდალურად ცნობილ ექიმ ეუხემიანო ფუენტესთან, ხოლო იტალიის ოლიმპიურმა კომიტეტმა და ველოფედერაციამ მრბოლს, შესაბამისად, ყველა დისციპლინარული სასჯელი მოუხსნა, ნათელი გახდა — ბასო, ვისი მიზანიც „ტურის“ მოგებაა, რომელიმე მძლავრ ველოგუნდთან გააფორმებდა კონტრაქტს. აქცენტი თავიდანვე „დისქავერიზე“ კეთდებოდა და მართალია, ამერიკული გუნდის სპორტული დირექტორი იოჰან ბრიუნელი თავიდან თითქოსდა ორჭოფობდა, ბოლოს ყველაფერი მოგვარდა.

ბასო „დისქავერიშია“ და გაისად კვლავაც შეეცდება დუბლის გაკეთებას — „ჯიროსა“ და „ტურის“ ერთდროულად მოგებას. იტალიელის ყოფილი გუნდის, დანიური CSC-ს შეფმა, „ტურის“ 1996 წლის ჩემპიონმა ბიარნე რიისმა კი განაცხადა, რომ არ აპირებს ბასოს ადგილზე ახალი ლიდერის აყვანას. „გუნდის კაპიტანი და ლიდერი ესპანელი კარლოს სასტრე იქნება, რომელმაც წელს მშვენიერი შედეგები აჩვენა. თანაც ჩვენ ლუქსემბურგელი ფრენკ შლეკის სახით ამომავალი ვარსკვლავი გვყავს და ახალ ძლიერ მრბოლს არ ვსაჭიროებთ“ — ბრძანა რიისმა.

ბასოს საქმე კი მოგვარდა, მაგრამ კვლავაც ჰაერში გამოკიდებული რჩება სახელოვანი გერმანელის იან ულრიხის ბედი, ვინც იტალიელთან ერთად მოკვეთეს „ტურის“ დაწყების წინ და ჯერაც პროფესიული ლიცენზიისა და გუნდის გარეშეა.

ამასთან დაკავშირებით ახლახან შექმნილი რუსული ველოგუნდის „ტინკოფის“ სპორტულმა დირექტორმა ომარ პიშინამ განაცხადა, რომ თუ ასე გაგრძელდა, ანუ ულრიხს, ვისი დანაშაულიც, ბასოსი არ იყოს, არ დამტკიცებულა, არ დართავენ რბოლის ნებას, შეიძლება ფატალური შედეგი მივიღოთ — გერმანელმა ველოსიპედისტმა დიდი იტალიელი მრბოლის, მარკო პანტანის ბედი გაიზიაროს და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულოს.

რუსი ამას კი ამბობს, მაგრამ თავად ულრიხი დანებებას არ აპირებს და მთელი მონდომებით აგრძელებს ვარჯიშს. „უბრძოლველად არაფერს დავთმობ. დარწმუნებული ვარ, რომ უახლოეს მომავალში ლიცენზიასაც მივიღებ და სოლიდურ ველოგუნდთანაც გავაფორმებ კონტრაქტს“ — ბრძანა იანმა, ვისაც ისე არ უნდა სპორტიდან წასვლა, რომ 1997 წელი არ გაიმეოროს და კიდევ ერთხელ არ მოიგოს „ტურ დე ფრანსი“.

სუმო

# კოკა კაიოზე გატყდა

**ფუკუოკუს** ბაშოზე მარცხიან სტარტს ლევან ცაგურიამ გუშინ მეორე წაგებაც მიაყოლა. ქართველ კომუსუბის ისევ თავისზე მაღალწოდებიანმა აჯობა. ტრიბუნების მხურვალე ქომაგობით გულმოცემულმა 34 წლის ოძეკი კაიომ თხუთმეტთვიანი შესვენების შემდეგ კოკაის წინააღმდეგობის დაძლევა მშობლიურ ქალაქში შეძლო. არადა, გუშინდელი ბრძოლა ისე დაიწყო, კაიოს გამარჯვებას ვერავინ იწინასწარმეტყველებდა.

„შავმა ზღვამ“ ჩვეულად შეუტია, მაგრამ უეცრად წონასწორობა დაკარგა და უარყოფითი ბალანსი გაიუარესა. ვეტერანმა ოძეკიმ კი მეორე ქულა ისე მოინაგრა, ძალა არ დაუხარჯავს.

კაიოს დარად, უდანაკარგოდ მიიწევს იმპერატორის თასისკენ სეკივაკე ტოკომიცუკი. დღეს კოკაი სწორედ მის პირისპირ დადგება და იმედია, ლიდერთა სიასაც ჩამოაცილებს. მეორე ქულა კოტომიცუკიმ კომუსუბი ამინისიკის ძლევით მიითვალა.



ბაშოს პირველ დღეს კოკაი კოტოოსიუმ დაჩაგრა

გუშინდელ ტურში არც ერთი მოულოდნელი შედეგი არ დაფიქსირებულა. მაღალრეიტინგიანმა დიდკაცებმა თავისზე დაბლა მდგომები დაჩაგრეს, თუმც წინასწარ დაგეგმილი ქულის აღება ყველამ იოლად როდი შეძლო. თვით იოკოძუნა ასასიორიუმ რიგითი მაეგაშირა ფუტენოს წაქცევას ბევრი ენერგია შეალია. თავიდან უპირატესობას ფუტენო დაეუფლა. დიდი მონღოლი ქამრით დაიჭირა და დოჰიოს საზღვრამდე გაიყვანა, მაგრამ ილეთის დაგვირგვინება ველარ შეძლო და „ცისფერი დრაკონის“ კონტრშეტევაზე წამოეგო.

წაუგებელთა შორის დგომით იწონებს თავს უმაღლესი დივიზიონის უმძიმესი რიკისი, სეკივაკე მიაბიამა. 186-კილოგრამიანმა გოლიათმა გუშინ 8 კილოგრამით მსუბუქი მაეგაშირა ივაკიამა დასცა.

**ოთარ მაღლაკელიძე**

ხელბურთი

ჩემპიონთა ლიგა. ვაჟები
ჯგუფური ეტაპი. მეექვსე ტური

# დათვის ენა რუსმა იცის

**ლიგის** ჯგუფური ეტაპის დასკვნით, მეექვსე ტურს მერვედფინალის ოთხი ვაკანსიის მფლობელიდა უნდა გაერკვია.

მძიმე მდგომარეობაში იყო რუსეთის ჩემპიონი „ჩეხოვსკიე მედვედი“. ვლადიმირ მაკსიმოვის „დათვებს“ მომდევნო ეტაპზე გასასვლელად ქულაც ჰყოფნიდათ, მაგრამ მეტოქე მეტად მრისხანე ჰყავდათ — ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტი „ფლენსბურგ-ჰანდევიტი“. გერმანულ კლუბს მანამდე ხუთივე მატჩის მოგებით მერვედფინალის საკითხი ვადამდე ჰქონდა მოგვარებული, ამდენად თავი არც მოუკლავს მორიგი ორი ქულისთვის, თუმც მეორე ტაიმში მაინც წინ იყო ოთხი ბურთით. მაგრამ შესვენებისას მოსკოვის ოლქის გუბერნატორ ბორის გრომოვის მიერ შეპირებული სოლიდური პრემიალური თანხით გახალისებულმა სლავებმა თამაში გარდატეხის შეტანა შეძლეს და ბოლო ოციოდწუთიან მონაკვეთში მოწინაალმდეგეს ათი ბურთით აჯობეს.

საბოლოოდ — 33:27 (18:17) და „დათვებმა“ პირველად გააღწიეს ჯგუფური ეტაპიდან. მატჩის გმირი იყო ცხრაჯერ გამტანი იური ეგოროვი. აღსანიშნავია, რომ „ჩეხოვსკიე მედვედი“ ერთადერთი გუნდია, რომელსაც შემადგენლობაში უცხოელი მოთამაშე არ ჰყავს.

ბომბარდირთა შორის 41 გოლით ლიდერობს 34 წლის სერბი ნენად მაკშიჩი („ცრვენა ზვეზდა“). მას ერთი ბურთით ჩამორჩებიან ბელარუსი სერგეი ხარბოკი („ცელიე პივოვარნა ლაშკო“) და ისლანდიელი გუდიან ვალურ სიგურდსონი („გუმერსბახი“).

სლოვენიელ მელუდეებს დიდი ომი გადახდათ „გუმერსბახთან“. მეტოქეებს მერვედფინალში გასვლა ვადამდე განაღდებული კი ჰქონდათ, მაგრამ ცელიეს სპორტის სასახლეში მისულ ექვსი ათას გულშემატკივარს უნიათო თამაშით გულს ხომ არ დასწყვეტდნენ. ჰოდა, მოედანზე ისეთი ბრძოლა გაჩაღდა, რომ საფინალო სასტვენამდე დაძაბულობა არ მოჰკლებია. ტაიმი გერმანელებმა მოიგეს — 16:15 და შესვენების შემდეგაც კარგა ხანს ინარჩუნებდნენ მცირეხნოვანი უპირატესობას, მაგრამ ბოლოს მასპინძლებმა იძალეს — 31:29.

24 წლის ქართველი „მაკედონიელის“ რევაზ ჭანტურიას „მეტალურგმა“ მეექვსე მატჩიც წააგო და უქულოდ დაასრულა შეჯიბრება. ამგვარ „ნულოვან“ დღეში კიდევ სამი გუნდია. რეზომ საკვალიფიკაციო და ჯგუფურ რვა შეხვედრაში 15 გოლი გაიტანა და ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი იყო მაკედონიის ჩემპიონთა შემადგენლობაში.

ტურნირის ფავორიტებმა — ოთხმა ესპანურმა და სამმაც გერმანულმა კლუბმა — უპრობლემოდ დაძლია ჯგუფური ბარიერი. ასპროცენტიანი შედეგი — ექვსი მოგება — მხოლოდ სამ გუნდს აქვს: გერმანულ „კილს“, რომელსაც ყველაზე შედეგიანი შეტევის ხაზი ჰყავს, ლიგის ხუთგზის ტრიუმფატორ „ბარსელონას“ და ამჟამინდელ ჩემპიონ „სიუდად რეალს“.

მერვედფინალურ წყვილებს ვენაში, ევროპის ხელბურთის ფედერაციის შტაბბინაში, დღევანდელი წილისყრა გაარკვევს.

**გია ახალაძე**

**A ჯგუფი**

ვესპრემი (უნგრეთი) 34:24 ბოსნა (ბოსნია)
პოვარსკა ბისტრიცა (სლოვაკეთი) 23:36 პორტლენდ სან ანტონიო (ესპანეთი)
*პორტლენდი 10 ქულა, ვესპრემი 10,* ბოსნა 4, ბისტრიცა 0

**B ჯგუფი**

კადეტენ შაფჰაუზენი (შვეიცარია) 22:23 პიკ სეგედი (უნგრეთი)
სიუდად რეალი (ესპანეთი) 39:29 მეშკოვო (ბელარუსი)
*სიუდად რეალი 12, პიკ სეგედი 7,* შაფჰაუზენი 5, მეშკოვო 0

**C ჯგუფი**

კოლდინგი (დანია) 33:22 ცრვენა ზვეზდა (სერბეთი)
ვისლა (პოლონეთი) 32:31 შამბერი (საფრანგეთი)
*კოლდინგი 11,* შამბერი 7, ვისლა 4, ცრვენა ზვეზდა 2

**D ჯგუფი**

ჩეხოვსკიე მედვედი (რუსეთი) 33:27 ფლენსბურგი (გერმანია)
ზაგრები (ხორვატია) 32:24 მეტალურგი (მაკედონია)
*ფლენსბურგი 10, ჩეხოვსკიე მედვედი 8,* ზაგრები 6, მეტალურგი 0

**E ჯგუფი**

კილი (გერმანია) 47:31 კონსტანცა (რუმინეთი)
ბანიკ კარვინა (ჩეხეთი) 32:37 სვენდბორგ გუდმე (დანია)
*კილი 12,* სვენდბორგ გუდმე 6, კონსტანცა 5, ბანიკ კარვინა 1

**F ჯგუფი**

პივოვარნა ლაშკო (სლოვენია) 31:29 გუმერსბახი (გერმანია)
ფრამ რეიკიავიკი (ისლანდია) 28:31 სანდფიორდი (ნორვეგია)
*გუმერსბახი 10, პივოვარნა ლაშკო 10,* სანდფიორდი 4, ფრამი 0

**G ჯგუფი**

ბარსელონა (ესპანეთი) 34:24 პანელინიოსი (საბერძნეთი)
გოლდ კლუბ კოზინა (სლოვენია) 30:28 ჰამარბი (შვედეთი)
*ბარსელონა 12, გოლდ კლუბი კოზინა 6,* პანელინიოსი 4, ჰამარბი 2

**H ჯგუფი**

მონპელიე (საფრანგეთი) 29:29 ვალიადოლიდი (ესპანეთი)
პორტოვიკ იუჟნი (უკრაინა) 27:24 A1 ბრეგენცი (ავსტრია)
*ვალიადოლიდი 10, მონპელიე 9,* პორტოვიკ იუჟნი 4, A1 ბრეგენცი 1

## მსოფლიოს თასი ლევი. ფინეთი. 12 ნოემბერი

# ოცდამეოთხე რაიხი

## ბოდე მილერი ტურინში ჩარჩა



ბენჯამინ რაიხი

**ფინურ ლევიში,** სადაც მთის მოთხილამურეთა წლევანდელი მსოფლიოს თასის გათამაშების პირველი ეტაპი გაიმართა, შაბათს ქალების მიერ დაწყებული ავსტრიული საქმე კვირას კაცთა შორის ბენჯამინ რაიხმა გააგრძელა.

28 წლის რაიხი მსოფლიოს თასის მფლობელის სარგო დიდი ბროლის გლობუსის ამჟამინდელი მეპატრონე და ტურინის ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონია. ამდენად, მისი გამარჯვება საყვარელ სახეობაში — სლალომში არც არავის გაკვირვებია. საკვირველი სხვა რამ იყო — მსოფლიოს თასის 2005 წლის მფლობელი ამერიკელი ბოდე მილერი, როგორც ჩანს, ჯერაც ვერ გამოსულა ტურინული შოკიდან და ლევიშიც ჩაფლავდა — პირველ ცდაზე 30 საუკეთესოს შორის ვერ მოხვდა და ასპარეზობა ნაადრევად დაასრულა.

რაიხს კონკურენცია შვედმა მარკუს ლარსონმა და ტურინის კიდევ ერთმა იმედგაცრუებამ, სლალომის იტალიელმა ასმა ჯორჯო როკამ გაუწიეს, თუმცაღა ამაოდ — პირველი ცდის შემდეგ როკა მხოლოდ 0,03 წამს აგებდა ავსტრიელთან, მაგრამ მაშინ, როდესაც რაიხმა მეორე დაშვებისას კიდევ უფრო მოუმატა, იტალიელმა პირიქით — შეცდომები დაუშვა და პირველ ადგილს ვინ ჩივის, მეორეც დაკარგა.

რაიხი კი მართლაც შეუდარებელი იყო და სამართლიანადაც ხარობდა კარიერაში მსოფლიოს თასის ეტაპებზე მოპოვებული 24-ე გამარჯვებით, რომელთაგან 11 სწორედ სლალომზე მოდის, 9 გიგანტურ სლალომზე და ოთხიც კომბინაციაზე. „სეზონის პირველი სტარტი იყო და ძალიან ბედნიერი ვარ ამ გამარჯვებით. სეზონის დაწყებამდე ბევრი და კარგად ვივარჯიშე და შედეგიც სახეზეა" — გახარებული და ამაყი იყო ავსტრიელი.

და ერთიც — ფინელებმა, რომლებიც მრავალწლიანი შესვენების შემდეგ მასპინძლობდნენ მსოფლიოს თასის ეტაპს, ვერც ამჯერად გაიხარეს თავისიანთა წარმატებით. შაბათს ტანია პოუტიაინენი მეთოთხმეტე იყო და ვერც სუომელ კაცთაგან საუკეთესომ და ტიტულიანმა, სწორედ სლალომის სპეციალისტად შერაცხულმა კალე პალანდერმა ივარგა — პირველი ცდა ჩააგდო და მეორეზე რაიხის შემდეგ მეორე შედეგი კი აჩვენა, მაგრამ ჯამში მხოლოდ მე-11 იყო.

ფინეთიდან სამთო მოთხილამურეები ჩრდილოეთ ამერიკაში გადაინაცვლებენ. 25-26 ნოემბერს „თეთრი ცირკი" თავის წარმოდგენებს კანადურ ლეიკ ლუისსა (კაცები) და ამერიკულ ესპინში (ქალები) დადგამს.

**გია მუჯირი**

### სლალომი. კაცები

| | | |
|---|---|---|
| 1. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) | 1 წუთი და 42,13 წამი | (51,47+50,66) |
| 2. მარკუს ლარსონი (შვედეთი) | 1.42,75 | (51,73+51,02) |
| 3. ჯორჯო როკა (იტალია) | 1.42,90 | (51,50+51,40) |
| 4. სტეფან ტისო (საფრანგეთი) | 1.43,25 | (51,79+51,46) |
| 5. რაინერ შონფელდერი (ავსტრია) | 1.43,45 | (52,07+51,38) |



# მეექვსემ იზარტყა

### მიხაილ ტალის მემორიალი
### 5-19 ნოემბერი. მოსკოვი

VI ტური

| | | |
|---|---|---|
| პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 1:0 | ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) |
| შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი) | 0,5:0,5 | ბორის გელფანდი (ისრაელი) |
| პეტერ სვიდლერი (რუსეთი) | 0:1 | ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) |
| ალექსეი შიროვი (ესპანეთი) | 0,5:0,5 | რუსლან პონომარიოვი (უკრაინა) |
| ლევონ არონიანი (სომხეთი) | 1:0 | მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) |

| | |
|---|---|
| 1 რუსლან პონომარიოვი (უკრაინა) | 4 ქულა |
| 2 პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 4 |
| 3 ლევონ არონიანი (სომხეთი) | 4 |
| 4 პეტერ სვიდლერი (რუსეთი) | 3 |
| 5 ბორის გელფანდი (ისრაელი) | 3 |
| 6 შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი) | 3 |
| 7 ალექსეი შიროვი (ესპანეთი) | 2,5 |
| 8 ალექსანდრ გრიშჩუკი რუსეთი) | 2,5 |
| 9 მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) | 2 |
| 10 ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) | 2 |

**მეექვსე ტურის** შემდეგ ცხრილს სამი ლიდერი მოევლინა. პეტერ ლეკომ და ლევონ არონიანმა თავიანთი შეხვედრები მოიგეს და ერთპიროვნულ ლიდერ რუსლან პონომარიოვს გვერდით მიუსკუპდნენ. ისინი მთელი ერთი ქულით უსწრებენ უახლოეს მდევრებს და ტურნირის გამარჯვებულიც, ალბათ, დავაში გაირკვევა.

დასანანი ნახევარი ქულა დაკარგა ფიდეს ექსჩემპიონმა პონომარიოვმა. შიროვთან შეხვედრისას უკრაინელი სათამაშო უპირატესობას ფლობდა, თუმც კარგად დაწყებული საქმე ბოლომდე ვეღარ მიიყვანა და 30-ე სვლაზე ყაიმს დაჯაბულდა.

მძიმე ბრძოლაში იმარჯვა ლეკომ. მოროზევიჩთან შეხვედრა მადიარმა კლასიკური e4-ით დაიწყო და ცენტრში მსუბუქი ფიგურები გამოიყვანა. მოროზევიჩი ხელმწიფის ფლანგზე გააქტიურდა და თეთრებს მიაწვა. ლეკომ ადვილად გატეხა მოიერიშე, საპასუხოდ დაარტყა და 27-ე სვლაზე პაიკი აალა. უნგრელმა კიდევ უფრო განავითარა შეტევა, რუსს ისედაც არეული წყობა უფრო მიუნგრია და 59-ე სვლაზე ხელები ააწევინა.

დღეს ორი ლიდერი დაუპირისპირდება ერთმანეთს — პონომარიოვი და არონიანი.

**ლაშა გეგეჭკორი**



## NHL რეგულარული ჩემპიონატი

12 ნოემბერი

**ანაჰაიმი 3:2 მინესოტა**

*0:0 2:1 1:1*

1:0 პენერი (22), 2:0 პერი (26), 2:1 ბუშარი (28), 3:1 ს. ნიდერმაიერი (46), 3:2 ბუშარი (60)

**ჩიკაგო 1:0 კოლუმბუსი**

*0:0 1:0 0:0*

1:0 კიკონენი (28)

**სენტ ლუისი 5:3 ედმონტონი**

*1:1 2:1 2:1*

1:0 სალვადორი (15), 1:1 ვინჩესტერი (15), 2:1 რუჩინსკი (22), 3:1 მაკლემენტი (39), 3:2 ვინჩესტერი (40), 4:2 სტემპნიაკი (47), 4:3 პისანი (57), 5:3 რუჩინსკი (60)

### აღმოსავლეთ კონფერენცია

| ატლანტიკა | თ | მ | წ | სწ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 16 | 10 | 5 | 1 | 41:43 | 21 |
| რეინჯერსი | 17 | 9 | 7 | 1 | 60:59 | 19 |
| პიტსბურგი | 15 | 7 | 6 | 2 | 49:49 | 16 |
| აილენდერსი | 15 | 7 | 6 | 2 | 41:46 | 16 |
| ფილადელფია | 16 | 3 | 11 | 2 | 34:65 | 8 |
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| ბუფალო | 16 | 14 | 1 | 1 | 73:47 | 29 |
| ტორონტო | 19 | 11 | 5 | 3 | 69:62 | 25 |
| მონრეალი | 15 | 8 | 4 | 3 | 47:44 | 19 |
| ოტავა | 16 | 6 | 9 | 1 | 53:46 | 13 |
| ბოსტონი | 14 | 5 | 7 | 2 | 40:57 | 12 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| ატლანტა | 20 | 12 | 5 | 3 | 72:61 | 27 |
| კაროლინა | 18 | 9 | 6 | 3 | 61:58 | 21 |
| ტამპა | 17 | 9 | 7 | 1 | 59:50 | 19 |
| ვაშინგტონი | 16 | 7 | 5 | 4 | 50:54 | 18 |
| ფლორიდა | 18 | 6 | 8 | 4 | 50:62 | 16 |

### დასავლეთ კონფერენცია

| ცენტრი | თ | მ | წ | სწ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეტროიტი | 16 | 11 | 4 | 1 | 44:31 | 23 |
| ნეშვილი | 15 | 10 | 4 | 1 | 48:42 | 21 |
| ჩიკაგო | 16 | 6 | 9 | 1 | 40:50 | 13 |
| სენტ ლუისი | 16 | 5 | 8 | 3 | 42:54 | 13 |
| კოლუმბუსი | 15 | 5 | 9 | 1 | 33:46 | 11 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | |
| მინესოტა | 16 | 11 | 5 | 0 | 47:35 | 22 |
| ვანკუვერი | 18 | 8 | 9 | 1 | 42:47 | 17 |
| ედმონტონი | 17 | 8 | 8 | 1 | 47:48 | 17 |
| კალგარი | 16 | 7 | 7 | 2 | 43:42 | 16 |
| კოლორადო | 16 | 7 | 7 | 2 | 51:50 | 16 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | |
| ანაჰაიმი | 18 | 13 | 1 | 4 | 62:40 | 30 |
| სან ხოსე | 18 | 13 | 5 | 0 | 58:39 | 26 |
| დალასი | 16 | 12 | 4 | 0 | 45:29 | 24 |
| ლოს ანჯელესი | 19 | 5 | 10 | 4 | 47:63 | 14 |
| ფინიქსი | 16 | 4 | 12 | 0 | 37:66 | 8 |

*თ — თამაში, მ — მოგება, წ — წაგება, სწ — საოვერტაიმო წაგება, შ — შაიბები, ქ — ქულები*



მარიან ჰოსა

ბომბარდირები: მარიან ჰოსა (ატლანტა) 30(15+15); ილია კოვალჩუკი (ატლანტა) 26 (14+12); იარომირ იაგრი (რეინჯერსი) 26 (5+21); ვიაჩესლავ კოზლოვი (ატლანტა) 26 (9+17); მაიკლ ნიულანდერი (რეინჯერსი) 25(7+18); დანიელ ბრიერი (ბუფალო) 23 (7+16); როდ ბრინდამორი (კაროლინა) 23 (6+17); რეი უიტნი (კაროლინა) 22 (6+16); ბრენდან შენაჰენი (რეინჯერსი) 22 (13+9); სიდნი კროსბი (პიტსბურგი) 22 (6+16); ვინსენ ლეკავალიე (ტამპა) 22 (10+12).

გოლეადორები: ჰოსა 15; კოვალჩუკი 14; შენაჰენი 13; პატრიკ მარლო (სან ხოსე), ბრაიან როლსტონი (მინესოტა), მარტინ სენ ლუი (ტამპა), დერსი ტაკერი (ტორონტო), ალექსანდრ ოვეჩკინი (ვაშინგტონი) 11-11.

ასისტენტები: იაგრი 21; ნიულანდერი 18; ბრინდამორი, კოზლოვი 17-17; უიტნი, ჰენრიკ სედინი (ვანკუვერი), ბრიერი, კროსბი, ჯო ტორნტონი (სან ხოსე) 16-16.

ნაყოფიერების კოეფიციენტი: ნიკლას ლიდსტრომი (დეტროიტი) 17; ტომაშ ვანეკი (ბუფალო) 15; ბრაიან კემპბელი (ბუფალო) 12; რობერტ ლანგი (დეტროიტი), მილან მიხალეკი (სან ხოსე) 11-11.

### მეკარეები



დომინიკ ჰაშეკი

გაშვებულ გოლთა საშუალო მაჩვენებელი: დომინიკ ჰაშეკი (დეტროიტი) 1,74; მარტი ტურკო (დალასი) 1,84; რეი ემერი (ოტავა) 1,86; ჟან-სებასტიან ჟიგერი (ანაჰაიმი) 1,98; ვესა ტოსკალა (სან ხოსე) 2,07; მენი ფერნანდესი (მინესოტა) 2,15.

დარტყმათა მოგერიების პროცენტი: ემერი 93,9; ტურკო 93,1; ტოსკალა 92,9; ფერნანდესი 92,8; ჟიგერი 92,8; მიკა კიპრუსოფი (კალგარი) 92,2.

მოგებები: მარტინ ბროდო (ნიუ ჯერსი), ტურკო, ჟიგერი 10-10; ენდრიუ რეიკროფტი (ტორონტო), ფერნანდესი, ტოსკალა, რაიან მილერი (ბუფალო), კარი ლეჰტონენი (ატლანტა), კემ უარდი (კაროლინა) 9-9.

შათაუტები: ბროდო, ჰაშეკი 3-3; ევგენი ნაბოკოვი (სან ხოსე), ლეჰტონენი, ჟიგერი, კიპრუსოფი 2-2.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: პაატა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაб წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge